F262 №561

# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე დღეებში კონტორა დაკეტილია.
კონტორის ტელეფ. 15—73.

წელიწადი მეექვსე | სამშაბათი. მარტი 2 1920 წ. № 47 | ფასი 5 მან.

## გაზეთ „საქართველო“-ს გასასყიდად

ქუჩებში გვესაჭიროება მოზრდილი

# ბავშვები

იკითხეთ გაზეთ „საქართველოს“ კონტორაში.

---

ღრმად დამწუხრებული ნატალია ილარიონის ასული შვილი შვილით, ნინა ბაგრატის ასული იავრ[illegible]კოსი და სოფიო ბაგრატის ასული მანსვეტაშვილისა, მიხეილ ვასილის ძე მანსვეტაშვილი და ასინეთი გიორგის ასული [illegible]შვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ქმრისას, მეორენი მამისას, მესამე სიმამრისას, მეოთხე ძმისას ძვირფას და დაუვიწყარ

### ბაგრატ გიორგის ძე გენერალ ქლენტისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. ცხედრის გამოტანა ბინიდან (პანასკევიჩის ქუჩა 44) სამხედრო სობოროში ოთხშაბათს დილის 10 საათზე. 2919 1—1

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარიამი დიმიტრის ასული შვილები: ლევან, მიხეილი დიმიტრი და მარიამი ძმები: ივანე და ვასილი ლევანის ძენი ნანობაშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

### სოლომონ ლევანის ძე ნანობაშვილი

პანაშვიდი დღეს 2 მარტს პეტროვის ქ. საკუთარი სახლი № 36 საღამოს 5 საათზე. პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს გაასვენებენ ხიდგურზე. დაკრძალვა სოფ. [illegible]. 2991 1—1

---

კვირას 29 თებერვალს ქ. ქუთაისში ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოთ გარდაიცვალა

### ნინო (ცუცა) პეტრიაშვილის ასული გახოკიძე

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: მეუღლე მისი ამბროსი (ბუკა) გახოკიძე, დედა ანა პეტრიაშვილისა, და—ელენე, დედამთილი და მამამთილი ელისაბედ და ერმილე გახოკიძეები შვილებით, რძალი ნინო და სიძე გიორგი გორდეზიანები. გამოსვენება დანიშნულია 4 მარტს ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარ ბინიდან (იგანოვის ქ. კიკოძის სახლი). დაკრძალვა საფიჩხის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე. 2923 3—1

---

პოეტის გალაკტიონ ტაბიძის

## საღამო

სახელმწიფო თეატრში ოთხშაბათს, 3 მარტს

ი. გომართელი წარმოსთქვამს სიტყვას გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ

### პოეტები მწერლები:

| | |
|---|---|
| აბაშელი საშა | მიგრელი დუტუ |
| ბარნოვი ვასილი | რუხაძე ვალამ |
| გრიშაშვილი იოსებ | რამიშვილი ტრიფონ |
| დადიანი შალვა | ტაბიძე გალაკტიონ |
| დადიანი შოთა | შარაშიძე შალვა |
| ინგოროყვა პავლე | შიუკაშვილი ნიკო |
| მაყაშვილი კოტე | ქუჩიშვილი გიორგი |

წაიკითხავენ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს.

### ა ლ ე კ ო

ოპერა ერთ მოქმედებად, მუსიკა რახმანინოვისა.
ვანო სარაჯიშვილის, ალეშკოს, ოვსიანიკოვის, პოლიაევისა და ისეცკის მონაწილეობით დასდგამს ევლახოვი. დირიჟორობს კორიშონი.

### კავალერიის ბანაკი

ბალ. 1 მოქ.

პრიმა-ბალერინა ბაუერზაკსი. ბალეტ-მეისტერი ვაკარეცი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება სახ. თეატრის კასაში.
დაწვრილებით პროგრამებში.

---

## სახელმწიფო თეატრი

ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.
დღეს, მარტის 2-ს

# თ ა ი ს ი

---

კვირას 7-ს მარტიდან თბილისში გამოვა ყოველკვირული გაზეთი

# „სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ ექნება შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.
„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.
რედაქცია თავის მკითხველებს მისწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.
გაზეთს რედაქტორობს ნიკო კაიშაური.
რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან.
თითო ნომერი 3 მან. 4—3—7

---

საზოგადოების თხოვნით განმეორებით მარტის 2-ს დაიდგმება ტრაგედია თანამედროვე ცხოვრებიდან.

მიხეილის
## ა ლ კ ა ზ ა რ ი
პლეხანოვის ქ. 91

# „მ ე ძ ა ვ ი“

4 მოქ. უმთავრეს როლში ჩვენი სიამაყე ნიჭიერი მსახიობი

### ვ. ს. ალექსი—მესხიშვილი

თეატრი ითბობა. ფასები არ არის გადიდებული. სიმფონიური ორკესტრი.

---

## კინემო მინიონი

მარტის 2 და 3-ს

### ა ხ ა ლ ი დ ა დ გ მ ა

# ? რ ო მ ე ლ ი ა ?

მხატვრული კინო-დრამა 4 მოქმედებად პოლ ერვიეს რომანით.

სურათი გადაღებულია ძმ. პატეს ატელიეში პარიზში.

დასასრული კომიკური სურათი

### „პ რ ე ნ ს“.

---



# ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21,)

ყოველ დღე დილის 11—5 საათამდე.

◆●◆ ს ა დ ი ლ ი ◆●◆

ორშაბათიდან მარტის 1-დან ახალი პროგრამა
ოთხშაბათს მარტის 3-ს ბალეტმეისტერ სეკერინსკის დიდი საღამო
დაკვეთა მაგიდების მიიღება.
სტუმრების შეკრება ღამის 11 საათზე.

---



პირველ-ხარისხოვანი

## ცირკი „კ რ ი ს ტ ე ნ ს“

ვერის დაღმართზე. ტელ. 5—62.
სამშაბათს, თებერვლის 29-ს 1920 წ.

გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა

მონაწილეობენ ცირკის გამოჩენილი ძალები. ევროპაში სახელგანთქმული მისტერ ბორტონი, თბილისელი კინტო გ. მესტიევი.
საერთაშორისო ფალავანების ჭიდაობის გაგრძელება, 1920 წლის მსოფლიო ფალავანის სახელის მოსაპოვებლად ჭიდაობენ „ფალავანი“, „ინკოგნიტო“ „შავი ნიღაბი“ პრემია 3000 მან.
შავი ნიღაბი—ნეიზვესტნის წინააღმდეგ. კანდელაკი—მოზინგის წინააღმდეგ.
ახლო მომავალში შესდგება საერთაშორისო ფალავანის მორენს როზენბაუმის ბენეფისი.
დასაწყისი 8 ნახ. საათზე. გამგე: იურიევი.

---

# ქართული კლუბი

შაბათს 6 მარტს
ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო

გორის მაზრის დაზარალებულთა სასარგებლოდ
გ ა მ ა რ თ ა ვ ს

## დიდ საზეიმო საღამოს

მონაწილეობენ: საუკეთესო ძალები ქართული სტუდიისა, დრამისა „ტარტოს“ და მსახიობნი სახელმწიფო თეატრისა.

კლუბის ყველა დარბაზებში

## დიდი კაბარე

მაგიდების დაკვეთა ამ თავითვე შეიძლება კლუბის კონტორაში.
დაწვრილებით აფიშებში. 34 1—1

---

# მოქალაქენო!

## მოიხადეთ თქვენი ვალი წინაშე გმირულ უსახლ-კაროთა, შიშველთა და მშიერთა.

### ვაჭარ-მრეწველთა მთავარი კომიტეტი

მიიღებს შემოწირულებას:

1. სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, ეროვნულ საბჭოს ქ. № 11 (ყოფ. ფრეილინის ქ.)
2. დ. გ. აფხაზი, იტალო-კავკასიის ბანკში, (რუსთაველის პროსპექტი).
3. მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზ ბა (პიროგოვის ქ. № 6).
4. გ. დ. ჟურული მარგანეცის მრეწველთა საბჭოში (რუსთაველის პრ. ს. აბიანცისა).
5. ნ. ე. წვერავა ამიერ კავკასიის ბანკში.
6. ა. ნ. მილოვი და ვ. ი. ტერ-ზახაროვი ვაჭართა ბანკში.
7. ა. ნ. ხეილანოვი ძმ. ხეილანოვების ქარხანაში.

მოქალაქენო, მოიხადეთ თქვენი ვალი!

ვაჭარ-მრეწველთა მთავარი კომიტეტი.

---

ექიმი

## დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ავადმყოფის მიღება 12—1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

---

მედიცინის დოქტორი

## ივ. ღუღაძე

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა. მიღება საღამოს 5—7 ს. მეჩნიკოვის ქუჩა, სახლი № 3, ბინა № 5, მიხეილის პროსპ. შესახვევში. 2899 2—1

---

## ი ყ ი დ ე ბ ა

### ცინკის დიდი ვანნა

მისამართი: კრილოვის ქ. № 10, ა. გულისაშვილისა ექ. კერესელიძესთან.

---

## ქართული კლუბი

ოთხშაბათს 3 მარტს რუსული დრამის „ტარტოს“ მიერ წარმოდგენილი იქნება

# კრეჩინსკის ქორწინება

კომ. 3 მოქ.

მონაწილეობს მთელი დასი
რეჟისორი ა. ა. ტუგანოვი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 35 2—1

---

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

# „ტამირი“

შტაბის ქ. № 6, პუშკინის სკვერის პირდაპირ
ჩაბარდა ახალ პატრონებს.

ყოველ დღე სადილი ცნობილ კულინარ ლავრენტის ხელმძღვანელობით.
სხვა და სხვა საუზმე, ვახშამი, ევროპიული და აზიური. ყოველგვარი სასმელი დაკლებულ ფასებში.
2868 10 7 პატივისცემით დმ. გიგიბერია და მ. კაზიშვილი.

---

## ძმისწული ვასილ ნიკოლოზის ძე ზირაქიშვილი

### ეძებს ბიძას ლევან ზაქარიას ძე ზირაქიშვილს,

რომელიც წარსულ 1919 წელს ღვინობისთვის 12-დან გავიდა თავის სავაჭრო დუქნიდან (ბურდიუჩნი რიგი) და დღემდე შინ არ დაბრუნებულა
თუ ვინმემ იცის მისი ბინადრობის ადგილი ან ჰქონდა რამე მასთან სავაჭრო საქმეები, გთხოვთ წერილობით გვაცნობოთ ამ მისამართით: თბილისი, ნიკოლოზის ქუჩა № 71. ბინა თოფაძისა. 2921 2—1

---

# მ ო ი თ ხ ო ვ ე თ

# ჩაჩიბაიას

# კახური ღვინო

ფირმის მიერ მონაწილეებად მიწვეულები არიან გურჯაანის საუკეთესო მევენახეები. 2862 10—5

---

## შრომა და სურსათი

სურსათი და შრომა ერთნაირ კრიზისს განიცდის ჩვენს რესპუბლიკაში. დიდის სკანდალით დალია თავისი დღენი ყველა იმ ორგანიზაციამ, რომელიც დაარსებულ იქმნა სურსათის საქმის მოსაწყობათ. ვერც ერთმა ვერ გაამართლა ვერც მთავრობის იმედი და ვერც ხალხისა. რაც შეეხება შრომას, რევოლიუციამ მას ბოლო მოუღო. შრომის ნაცვლად მან გაამეფა სხვისი ქონების წართმევის და მითვისების პსიხოლოგია. შრომის ნაყოფიერობა ძალზედ დაეცა ყოველს წარმოებაში. ერთი კაცის სამუშაოს ორი, ხოლო ხანდახან სამი კაცი აკეთებს. ეს პსიხოლოგია დღესაც ძალაშია. არა ეროვნული მეურნეობის თვალსაზრისით, არა სახელმწიფოს ეკონომიურ კეთილდღეობის ინტერესის მიხედვითაა დაფასებული მუშა და მისი შრომა, არამედ მარტოდ-მარტო თვით მუშის სარგებლობის თვალსაზრისით. შრომის ხელშეკრულობა, რომელიც ამ მოკლე ხანში დამფუძნებელ კრებას წარედგინება განსახილველად, ამის ნამდვილი ილუსტრაციაა. მეორე მხრის, თვით წარმოების ინტერესი, როგორც ეტყობა, არ აინტერესებს ამ ხელშეკრულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამულიშვილნო, გაიღეთ სწრაფად და უხვად! მიწის ძვრით გაუბედურებულ მოძმეთ აღუდგინოთ დანგრეული კერა!

## დ ღ ე ს:

სამაჰმადიანო საქართველოს მეჯლისმა თხოვნით მიჰმართა მისტერ ოლივერ უორდროპს რათა ბათომის საკითხი სასწრაფოდ იქმნას გადაწყვეტილი.

ეგვიპტეში ინგლისელთა საწინააღმდეგო დემონსტრაციები ძლიერდება. ხალხი მოითხოვს ეგვიპტის დამოუკიდებლობას და სწვავს ეგვიპტის დროშებს.

ბუქარესტში რკინის გზებზე გაფიცვებია.

ონეგისა და მურმანის მიმართულებით ბოლშევიკები შეტევას ანვითარებენ.

ჩრდილო დასავლეთის არმიის ლიკვიდაცია დასრულდა.

———

## წ ე რ ი ლ ე ბ ი:

მეთაური: შრომა და სურსათი.
პრესსა.
—ბათუმის საკითხის გარშემო.
მ. ჯანაშვილი—ახალი გორი.
ია კარგარეთელი—მუსიკა ქართულ სკოლაში.

აგტორებს, რომელნიც, როგორც ყოველ კანონპროექტის შესახებაც, ამ შემთხვევაშიც სოციალისტები ბრძანდებიან.

შრომა და სურსათი, ეს—შეიძლება ითქვას—ორი ძირითადი ფაქტორი ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცებისა და მისი ეკონომიური წარმატებისა, ორივე იმ თავიდან ამ თავამდე მეტად უწესრიგო მდგომარეობაშია. მათი მოუგვარებლობა პროგრესიულად ზრდის სიძვირეს და ჰქმნის ნიადაგს სპეკულიაციისათვის. ჩვენი ცხოვრების ეს ორი მხარე როგორც თვით ცხოვრებამ დაგვარწმუნა, ორი მეტად რთული დარგია; და მათი მოგვარება მოითხოვს დიდ ცოდნას გამოცდილებას და ფართო სახელმწიფოებრივ ჰორიზონტს ჩვენში კი ყველაფერი გაადვილებულია, „გადემოკრატებული"; უვიცობის და გამოუცდელობის წამოსკუპება მაღალ საპასუხისმგებლო ადგილებზე და მათი დემონსტრატიული ყოყლოჩინობა ჩვენი მმართველი წრის ნორმალურ წესად გადაიქცა. ამის შედეგი იყო ის გარემოება, რომ შრომა და სურსათი, ყველაზედ უფრო რთული და მოუგვარებელი დარგები ჩვენი ცხოვრების ბ ნმა ნ. ჟორდანიამ შეაერთა და შეერთებულად ჩააბარა ბ-ნ ერაძეს და Co-ს, რომელთაც არ ჰქონდათ ამ საქმისათვის არავითარი გამოცდილება არავითარი ცოდნა და რომელთაც ამ დარგში არც არავითარი ნიჭი აღმოაჩნდათ.

ბ-ნი ჟორდანია ამ შეერთებას, 30 ქრისტეშობისთვის სხდომაზედ, იმით ასაბუთებდა, რომ სპეკულიაციის გასანელებლად „საჭირო იყო თვით სახელმწიფო ჩარეულიყო ალებ-მიცემობის საქმეში და ვაჭრობა-მრეწველობას გაძღოლოდა, როგორც კერძო ვაჭარი; მთავრობის თავმჯდომარეს იმედი ჰქონდა რომ ასეთი შეერთება „ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებდა აწეწილ-დაწეწილ ეკონომიურ ცხოვრებას". ბ-ნი ჟორდანია, აღნიშნავდა რა, რომ „დღეს ჩვენში და სხვაგან მეტი იხარჯება, ვიდრე კეთდება", ალბად გულში იმედს ისახავდა, რომ ამ შეერთებით ჩვენში მეტი გაკეთდებოდა, ვიდრე დაიხარჯებოდა და ამით ცხოვრება „ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა" მოჰყავდა კიდევ ერთი მოსაზრება: „ის, რასაც იყიდის სახელმწიფო, ის უნდა დაურიგდეს მშრომელ კლასს და ამას იზამს შრომის მინისტრიო". ასეთი არგუმენტაცია, რომელსაც თავისთავად არავითარი შინაგანი ძლიერება არა აქვს, შეიძლება კაცმა იხმაროს ყოველი შეერთებული სამინისტროების დასაშორებლადაც-კი. უნდა ვიფიქროთ, რომ ბ-ნი ჟორდანია ამის მოწმეთაც გაგვხდის მაგრამ ამ ჟამთ ხევაში ეს არ არის საინტერესო. საქმე ისაა, რომ მომარაგების სამინისტრომ რომელიც ოთხი თვეა მოაჯახირებს თავის ვაგლახ სიცოცხლეს, ვერაფერი გააკეთა მან ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა ბაზარზე.

პირიქით, მისი დაარსება და მისი მოქმედების გაფართოვება ცხოვრების პროგრესიულ გაძვირებას დაუკავშირდა. დიდი დაპირება მოგვცა ბ-ნმა ერაძემ, 21 ოქტომბრის სხდომაზედ, როდესაც 50 მილიონი მანეთი მოითხოვა მუშა-მოსამსახურეთათვის საქონლის მისაწოდებლად; ერაძის პირით მთავრობა გვარწმუნებდა, რომ ამ ფულით მუშებს მიეცემოდა პირველ საჭიროების საგნები იაფად, რომ ამით მთავრობა მოსპობდა მუშების ქრონიკული მისწრაფებას ჯამაგირების გადიდებისაკენ.

იმავე მიზნისთვის მთავრობამ, ხოლო ფაქტიურად მომარაგების სამინისტრომ, წაიღო ორას ორმოც და ათი მილიონი მანეთი—გასული დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში. უმთავრესად ამავე მიზნისთვის მთავრობამ გამოითხოვა და მიიღო რვაასი მილიონი მანეთი ამ ერთი თვის წინად. სურსათის დასამზადებლად მთავრობის განკარგულებაში გადაიდო 50 მილიონი მანეთი წარსული წლის აგვისტოში..

მომარაგების სამინისტრომ ვერც ამ სამას ოთხას მილიონი მანეთით და ვერც თავის სახელმწიფოს ხელის უფლების მიშველებით გააწყო რამე. წინააღმდეგ შეპირებისა, მუშა-მოსამსახურეებმა ორჯელ მოიმატეს ჯამაგირი, 40 პროც.—60 პროც. თუ გირვანქა შავი პური 7 8 ღირდა, როდესაც მომარაგების სამინისტრომ თავს იდო შრომისა და სურსათის მოგვარება, დღეს, ოთხი თვის მისი მოღვაწეობის შემდეგ, უარესი ხარისხის გირვანქა პური 18 მანეთი ღირს. თუ მაშინ გირვანქა სტერლინგი 700 მანეთი ფასობდა, დღეს იგი 1100 მანეთი ფასობს.

შრომა და სურსათი დღეს უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე ეს იყო მომარაგების სამინისტროს დაარსებაზე. ვიმეორებთ, მან ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა ბაზარზედ, თუმცა მის ხელშია ფულიცა და ძალაუფლებაც. ეს სამინისტროც უფრო „მეტს ხარჯავს, ვიდრე აკეთებს". ასეთი სამინისტრო უნდა წავიდეს!

## პ რ ე ს ს ა

### სომეხ-ქართველთა ურთიერთობა.

დაშნაკელების ორგანო „აშხატავორ" ი სომეხ-ქართველთა ურთიერთობის დამყარების შესახებ სწერს:

„ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა პოლიტიკური ჩამოყალიბების პროცესი თავის დასასრულს უახლოვდება. თანდათან ირკვევა მათი საერთაშორისო მდგომარეობა, ისახება უდავო საზღვრები.

სომხეთი და საქართველო, თვისი ისტორიული წარსულით, ეროვნულ სახელმწიფოებრივი განვითარების პერსპექტივებით და ეკონომიურ სამხედრო ინტერესებით ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, რომ მხოლოდ მმართველ წრეების სიბეცით თუ შეიძლება აიხსნა ამ ქვეყნებს შორის დღემდის არსებულ დავისა.

საუბედურო სომეხ-ქართველთა ომმა და მას მოყოლილ ქართველ-თათართა სამხედრო კავშირმა ხელი შეუწყეს ამ ორ დემოკრატიას ასცდენოდენ ძველ მეგობრულ გზას, რომლის ნავნებსაც დღეს ვიწვნევთ. ხელოვნურად გაზვიადებულმა მტრობამ ფესვი ვერ მოიკიდა ხალხას პსიხოლოგიაში და დღეს სომეხ-ქართველთა მშრომელი მასსა კვლავ დაახლოვებულია ერთმანეთთან, როგორც წარსულში.

აზიის ისლამთა ძალები, ადრე თუ გვიან შეეცდებიან თავდასხმას ჩრდილოეთზე, ამიერ-კავკასიის „შესაძენად", აზერბაიჯანის, დაღესტნის, შემდეგ აგრეთვე თურანის და ინდოეთის მაჰმადიანთა დახმარებით ყოფილ ოსმალეთის აღსადგენად. მეორე მხრით აუცილებელია ჩრდილოეთის სლავნური საშიშროებაც. ამ ორ საფრთხიდან ჩვენი დახსნა მარტო გულწრფელ მეგობრობას თუ შეუძლიან.

დროა ხელი ავიღოთ დავასა და დავიდარაბაზე. შეიძლება დიპლომატებს ჰქონდეთ „ბევრი" სადავო საკითხები, მაგრამ ნუ დაავიწყდებათ, რომ უსომხეთოდ საქართველო საფრთხეში იქნება ისევე როგორც სომხეთი უსაქართველოდ.

# ბათუმის საკითხი

### ქართველ მაჰმადიანთა მეჯლისის მიმართვა ოლ. უორდროპისადმი.

მათ მაღალკეთილშობილებას ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს კავკასიაში მ-რ ოლივერ უორდროპს.

თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

წარსულ 1919 წლის აგვისტოს 31-ს ბრიტანეთის ხელის უფალთა ნებით საქართველოს მაჰმადიანთა განმათავისუფლებელ კომიტეტის მიერ გამართულ ყრილობაზე ბათომის ოლქის ძირითადმა მცხოვრებლებმა გამოიტანეს ნათელი და კატეგორიული დადგენილება, რომლის თანახმად ბათომი და ბათომის ოლქი უნდა შეერთებოდა საქართველოს ავტონომიურ საფუძვლებზე. ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად ყრილობამ აირჩია მეჯლისი, რომელიც აღიჭურვა ფართო უფლებებით. მას მიენდო წარმომადგენლობა როგორც კავკასიაში მყოფ ანტანტის წარმომადგენლების წინაშე ისე ევროპის და საზავო კონფერენციის წინაშე.

მაშინვე მეჯლისმა აირჩია დელეგაცია, რომელიც წარსდგა საქართველოს მთავრობის წინაშე. ამავე დელეგაციას ჰქონდა პატივი თქვენ წარგდგომოდათ და თქვენის სახით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ეთხოვნა დიდ ბრიტანეთის მთავრობისათვის ბათომის და მის ოლქის ბედის გადაწყვეტის დაშურება და რომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში მიღებული ყოფილიყო აგვისტოს 21-ის დადგენილება, როგორც ძირითად მცხოვრებთა დიდ უმრავლესობის ნებისყოფის გამოხატვა.

თქვენო მაღალკეთილშობილებავ, იმის გამო, რომ თქვენ სამართლიანად მიიჩნიეთ ქართველ ერის მისწრაფებანი და კონფერენციას საქართველოს შესახებ სწორი ინფორმაცია აუწყეთ, საქართველომ მიიღო თავისი ისტორიული უფლებები: საზავო კონფერენციის მიერ ცნობილ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს რესპუბლიკის ცნობის ფაქტმა ჩვენ ჩაგვინერგა სრული იმედი, რომ ამასთან ერთად გადასწყდება ბათომის და მის ოლქის ბედის საკითხი, მაგრამ, საუბედუროდ ამ საკითხს დღემდის არ ეღირსა გადაჭრა რის გამოისობით ბათომი და მისი ოლქი დღესაც განიცდის უმძიმეს პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისს. ეკონომიური დაშლა და უდიდესი სიძვირე მძიმე ტვირთად აწვება მცხოვრებლებს და თვით საზოგადოებრივ—კუთხეს სამეურნეო ცხოვრების დაშლისკენ მიაქანებს. დამახასიათებელია, ის გარემოება, რომ საქართველოში ბათომით მოტანილი პირველ საჭიროებითი საგნები—უფრო იაფად ფასობს ვიდრე თვით ბათომში. ამასთან ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ბათომი და მისი ოლქი, შეძლებას აძლევს სხვა და სხვა ბანაკის პოლიტიკურ ავანტიურისტებს, რომ ცხოვრებაში დეზორგანიზაცია შეიტანონ.

ის ხალხი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ძირითად მცხოვრებლებთან, არც ისტორიულად, არც ეკონომიურად, და რომელნიც გამოქცეულნი არიან ოსმალეთიდან ანტანტის მართლმსაჯულების შიშით, სხვა და სხვა ბნელი პირები და სპეკულიანტები, გამოდიან „ბათომის ოლქის გაერთიანებულ მაჰმადიან ტომთა ეროვნულ საბჭოს სახელით", მაშინ როდესაც ბათომის ოლქში არავითარი სხვა ტომი არ მოსახლეობს გარდა ქართველ მაჰმადიანებისა თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვა და სხვა ეროვნებათა უმნიშვნელო ჯგუფებს, რომლებიც გაფანტულნი არიან ბათომსა და მის კუთხეში. მათ შეუერთდნენ რუსი რეაქციონერებიც, რომლებიც ბოლშევიკებს გამოექცნენ და ჩვენში ჰპოვეს თავშესაფარი. ყველა მათ გაერთიანებას ცდილობენ ბოლშევიკების აგენტები, რომელთაც ჰსურთ ამ მომენტით სარგებლობა აშკარად ხდება ანარქიულ ჯგუფების კრებები—და უკვე უშუალო მოქმედებისთვის ემზადებიან.

აი ეს ჯგუფები და პირები სტეხენ განგაშს და პროტესტებს ქალაქის და მის ოლქის საქართველოსადმი შეერთების საკითხის გარშემო.

მაგრამ მთელი ამ კუთხის მცხოვრებთა ნების გამომხატველი მეჯლისი იმედოვნებს, რომ ანტანტის დიპლომატიური წარმომადგენლები არავითარ ფასს არ დასდებენ ამ პირთა პოლიტიკურ ხრიკებს და ბათომის და მის ოლქის საკითხის გადაწყვეტის დროს იხელმძღვანელებენ მხოლოდ და მხოლოდ ოლქის ძირითად მცხოვრებთა სურვილებით.

ახლა კი ამ გართულებათა გამო ბათომის ოლქის მცხოვრებთა სახელით, უმორჩილესად გთხოვთ თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მიიღოთ სათანადო ღონისძიებანი ბათომის და მის ოლქის საკითხის უახლოეს ხანაში გადასაჭრელად და ამით 6 წლის ომით გატანჯულ ხალხს თავისუფლად აგრძნობინოთ თავი თვის ისტორიულ სამშობლოს ფარგლებში.

ამას მოითხოვს, როგორც მცხოვრებთა სურვილი ისე ბათომის ოლქის საარსებო ინტერესები.

მეჯლისის თავმჯდომარე მამედ-ბეგ აბაშიძე.

# გორის გარშემო

### დაზარალებულთა დამხმარე მთავარ კომიტეტში

მესანგრეთა ბატალიონი რომელიც გორში იყო წასული რათა სათანადო დახმარება გაეწია გორში დაზარალებულთათვის უკვე დაბრუნდა თბილისში.

ბატალიონი თავგამოდებით მუშაობდა და სტიქიისაგან გაუბედურებულთ დიდი დახმარება აღმოუჩინა. სამწუხაროდ თან არა ჰქონიათ ამაფეთქებელი მასალა რაც დიდად შეუწყობდა ხელს ნანგრევების თხრასა და გადარჩევაში. მუშაობის დროს მიწიდან ამოუღიათ 130 გვამი და ორი მძიმედ დაჭრილი. მიცვალებულნი მიწას მიაბარეს. ხოლო დაჭრილები თბილისის ლაზარეთში ჩამოიყვანეს

მესანგრენი ამასთანავე აღნიშნავენ, რომ მათ მუშაობას საგრძნობლად აბრკოლებდა რამდენჯერმე გამეორებული ძლიერი ძვრა, რის დროსაც სანახევროდ დარღვეული შენობები მთლად იქცეოდა. კარვებში დაბინადრებული ხალხი დღემდე ვერ ჰბედავს დანგრეულ სახლებთან მიკარებას. სამაგიეროდ აქ მოავალი ავაზაკი გაჩნდა. ამბობენ რომ ისინი საგანგებოდ არიან თბილისიდან ჩამოსულებიო. მათმა თავხედობამ იქამდე მიაღწია, რომ ადგილობრივი მილიცია იძულებული იყო ერთი მათგანი დაეხვრიტა.

**გეოლოგიური კომისია.**

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარ კომიტეტმა უკვე შეადგინა საგანგებო კომისია მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ადგილების გეოლოგიურ გამოკვლევათა მოსახდენად. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია სამთო სამმართველოს უფროსი ინჟ. ი. ა. ყიფშიძე. კომისიის წევრებად სამთო ინჟინრები ბ.ბ. კონიუშევსკი, შილნიკოვი, აკენტიევი, აივაზოვი, ივანიცკი, ბულგაკოვი, რაბინოვიჩი და სხვა. კომისიაში მოწვეულ არიან აღმშენებელ—სეისმოლოგები, მიწის მზომელნი, ფოტოგრაფნი და სხვ. კომისია შეეხება მხოლოდ სატეხნიკო სამეცნიერო გამოკვლევათ. ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს, როგორც მიზეზები ისე შედეგები მიწის ძვრისა და პრაქტიკულად გადასჭრას სატეხნიკო კითხვანი მომავალ აღმშენებლობითი. აირჩიოს ისეთი ადგილები. რომელიც ნაკლებ საშიშოა მომავალში საცხოვრებლად და გამოსძებნოს ტიპები უშიშარ შენობათა.

ამ კომისიის მთელი შემადგენლობა საგანგებო მატარებლით გაემგზავრა. მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ადგილებში.

**მსხვერპლნი**

26 თებერვალს, თანახმად მთავარ რწმუნებულ ექიმ ზანდუკელის ცნობისა, გორიდან თბილისს გამოიგზავნა 15 ქირურგიული და 10 შინაგან სნეულებიანი ავადმყოფნი.

27 თებერვალს ბ. ზანდუკელისვე ცნობით, გამოიგზავნა თბილისს ქირურგიული 7, შინაგანი—9.

**მამაცი მუშაობა**

მთავარ კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. არსენიძემ შემდეგი წერილი გაუგზავნა სამხედრო მინისტრს: „მოსანგრეთა ათასეულის მუშაობა დიდ დახმარებას უწევს გორს. მათი წასვლით გაუსწორებელი ზარალი მოელის საქმეს. გთხოვთ 2 კვირით მაინც დასტოვოთ კიდევ მოსანგრენი სამუშაოდ.

**ინჟინრების საჭიროება**

მთავარ კომიტეტმა სასწრაფოდ მოსთხოვა ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებას გაუგზავნოს 4 ინჟინერი ან გამოცდილი ტეხნიკოსნი.

**საგანგებო მატარებელი**

დაშავებულთა გამოსაყვანად გორის მაზრიდან 27 თებერვლიდან დაინიშნა 2 მატარებელი დღეში, რომელიც ყოველ დღე იმოგზაურებს თბილისსა და გორს შუა.

**საანკეტო ფურცლები**

მთავარ კომიტეტმა უკვე გამოსცა საანკეტო ფურცლები, რომლითაც ყოველ მოქალაქემ, ვისაც კი სურს შთამომავლობის და საკუთარ თავის გაფრთხილება ჯოჯოხეთურ განცდის განმეორებისაგან, უნდა გასცეს პასუხი ანკეტაში მოთავსებულ კითხვებზე. ანკეტაში მოთავსებულია საზოგადო ხასიათის კითხვანი, გარეშე ამ ხასიათის მოვლენათა, სხვა ბუნების მოვლენებთან კავშირი და ისტორიული ცნობანი.

**„უმაღლეს კრუგის" დელეგაცია გორში.**

თებერვლის 29-ს დონის, ყუბანის და თერგის „უმაღლესი კრუგის" დელეგაცია გაემგზავრა გორის დაზარალებულთა მდგომარეობის გასაცნობად.

**შემოწირულებანი:**

**666.000 მანეთი** ბათომის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ ექიმ ელიავამ აცნობა მთავარ კომიტეტს რომ საგანგებო კრებაზე დაზარალებულთა დასახმარად შესდგა საგანგებო კომიტეტი და სახელდახელოდ შეგროვდა 666.000 მანეთი, რომელიც უკვე გამოეგზავნა კომიტეტს.

**50.000 მანეთი.** სიღნაღის ერობის თავმჯდომარემ მათე ახმეტელაშვილმა აცნობა მთავარ კომიტეტს რომ სიღნაღში დაარსდა დამხმარე კომიტეტი და გადაიდო ამ საქმისთვის 50.000 მანეთი ამ კომიტეტს შეუძლიან შეინახოს 100 სული დაზარალებული მიწის ძვრისაგან განსაკუთრებით მცირე წლოვანნი და ქალები.

**15.435 მანეთი.** გუშინ თბ. საგანგებო რაზმის უფროსმა გადასცა მთავარ კომიტეტს მის რაზმში შეგროვილი 15.535 მან.

თელავის ქალაქის მოურავმა აცნობა გუშინ მთავარ კომიტეტს რომ ქალაქის გამგეობას შეუძლიან 2 თვის განმავლობაში შეინახოს თავის ხარჯით 50 სული დაზარალებული და მთავრობის ხარჯით 150 სული და თუ შესაძლებელია მეტსაც:

—

**კარლინსკის ზეთისა და საპნის ქარხნის** მუშა მოსამსახურეებმა წარმოუდგინეს კომიტეტს 2 კვირის რაციონი პურისა 6 ფუთი და 30 გირვანქა.

**მთავარ სახაზინო მუშა მოსამსახურეებმა** 26 თებერვლის საზოგადო კრებაზე დაადგინეს: სამი დღის ჯამაგირი ყოველგვარი დამატებებით გადაეცეს ქართლში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტს; ამას თანავე გაეგზავნა მოწოდება რესპუბლიკის ყველა საბჭოებს რათა მათაც გაიღონ თავიანთი წვლილი ამ მიზნის თვის.

**გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა თბილისის სადგილ-მამულო ბანკისა,** შეერთებულ კრებაზე 21 ამა თებერვალს, დაადგინა: დაზარალებულ-განადგურებულ გორის და მის მაზრის მცხოვრებთა შესაწევნად გადასდოს ოცდა ათი ათასი მანათი. გარდა ამისა ბანკის მოსამსახურეთაც გამოიღოს ამავე საჭიროებისთვის თავისი წვლილი ერთდროულად შესწიროს ორი დღის ჯამაგირი, რაიც უდრის 20500 მან.

**თბილისის ტრამვაის მუშა მოსამსახურეებმა** გაგზავნეს ქ. გორში თავიანთ ხვედრი პური 29 ფ. 09 ნახ. გირ.

**ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში**

თებერვლის 28 შეკრებილ იქმნა მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის 1135 მანეთი 54 კ.

ფული გადაზავნილ იქმნა საკათალიკოზო საბჭოში.

**25.500 მან. ზესტაფონიდან.** მაზრის ყველა მცხოვრებნი ერთსულოვნად მზად არიან მხარში ამოუდგნენ მთავრობას რესპუბლიკის იმ დიდ უბედურებაში, რომელიც თავს დაატყდა ქართლის გულს.

შედგა მაზრის და ქალაქის დამხმარე კომიტეტები, დგებიან ისეთივე კომიტეტები ყველა თემებში სახელდახელოდ პირველ დახმარებისთვის შეგროვილი 25500 მან. გადავგზავნეთ პირდაპირ გორში ბ. დ. ონიაშვილის სახელზე დღეს შეუდექით სისტემატიურად დახმარების შეგროვებას. გვწამს რომ ხალხის ერთსულოვნება გადაიტანს ყოველივე უბედურებას. ძმური სალამი დაზარალებულ ქართლელებს შორაპნის მაზრ.-ერობის თავმჯდომარე ბუაჩიძე.

**30.00 მან. მანგლისიდან.** „მაქვს პატივი ამასთანავე ტელეგრაფით გამოგიგზავნოთ სამი ათასი მანეთი სასარგებლოთ გორში დაზარალებულ ხალხისათვის".

მანგლისში მცხოვრები **გრიგოლ გულბეჭდაშვილი.**

**სოხუმიდან.**

„თავზარი დაგვცა ქართლის საშინელმა უბედურებამ სოხუმის ქართული ეროვნული საბჭო მთელი საქართველოსთან ერთად გლოვობს სტიქიურ ულმობელობის ათიათას მსხვერპლს იმედობს, რომ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა და ერის შეერთებული ნების ყოფა შესძლებენ აღადგინონ განადგურებული ქალაქი გორი და სოფლები სოხუმის ქართული ეროვნული საბჭო მიიღებს ყოველივე ღონეს რათა უმწეოთ დარჩენილ ხალხის დაჩქარებით ვაეგზავნოს აფხაზეთიდან შესაფერი ნივთიერი დახმარება" ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ის. გრიგოლია.

**ჭიათურიდან:**

(მთავრობის თავმჯდომარის სახელზე)

„ჭიათურის ქალაქის გამგეობამ მწუხარებით მოისმინა საქართველოს დიდი უბედურების ამბავი და დასტირის თავის მოძმეთა მწარე ბედს. გორის ტრაღედიამ მთელი ხალხი ფეხზე დააყენა შესდგა „გორის ფონდის" კომისია გორის აღსადგენად: ხალხი ერთსულოვნად თქვენ გვერდსა დგას და მზად არის თავისი უკანასკნელი წვლილი გაიღოს.

ქალაქის მოურავი მოდებაძე.

**გუდაუთიდან**

„ქ. გუდაუთის მოქალაქეთა ყრილობა გიცხადებთ გულითად მწუხარებას და უდიდეს თანაგრძნობას ქართველი ხალხის უბედურებაში. ყველანი მზად ვართ არაფერი დავიშუროთ მიწის ძვრის მსხვერპლთა სასარგებლოდ. ყველას ღრმად გვწამს დანგრეულ ქ. გორის აღდგენა".

ქალ. მოურავი ჟორჟოლიანი

**სოხუმიდან.**

სოხუმის მეთამბაქოთა საზოგადოებამ გადასწყვიტა ადგილობრივ მეთამბაქოეთა შორის მოკრიბოს ფურცლიანი თამბაქო თბილისში გასაგზავნად. ამ თამბაქოდან მიღებილი ფული თქვენს განკარგულებაში გადასდოს გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**საჯ ებოს გამგეობა**

**ბათუმიდან:**

გულით და სულით ვიზიარებ იმ საშინელ უბედურებას, რომელიც საქართველოს თავს დაატყდა"

გენ ბარათაშვილი.

**ცხინვალიდან.**

ვუერთებთ რა ჩვენ გლოვას ერის გოდებას მთელი ერისთვის დაუფასებელ ქ. გორის დაღუპვის გამო ჩვენ, როგორც ნაწილი გორის მაზრისა, დაჟინებით მოვითხოვთ, რომ ქ. გორი იყოს აღდგენილი თავის ადგილზედ, რადგანაც მთელი ქართლი მასთან დაკავშირებულია ეკონომიურად და მისი გადატანა უდრის მტრის მოსვლას და ქართლის მეურნეობის დაღუპვას და მის გაღატაკებას. ფიცსა ვსდებთ, რომ ჩვენი ძალა და ენერგია იქნება გამოყენებული გორის აღსადგენად და ასაყვავებლად. გთხოვთ დაწესებულებები გორიდან არსად გადაიტანოთ."

ცხინვალის თემის საბჭო.

**შულავერი**

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შულავერის შემოწირულებათა შემკრებმა კომისიამ 12,508 მან მოაგროვა."

# უკანასკნელი ამბები

**მოხალისეთა ნაღმიან გემის აფეთქება**

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ბათომიდან გვატყობინებს, რომ მოხალისეთა გემი „ვოზროჟდენიე", რომელიც ნაღმებით იყო დატვირთული აფეთქდა. მსხვერპლი დიდია; რაოდენობა მსხვერპლისა არ არის გამორკვეული.

**ქართველთა სიის გამარჯვება ბათომის საქალაქო არჩევნებში**

იგივე კორესპონდენტი დეპეშით გვატყობინებს, რომ ქალაქის არჩევნე

ბში გაიმარჯვა ქართველთა სიამ № 1. ვნ ასარჩევ ხმოსანში ამ სიით გავიდა ოცზე მეტი კანდიდატი.

**ოხალიხეთა წარმომადგენელნი მთავრობის თავმჯდომარესთან.**

თბილისში გუშინ მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ჟორდანიას წარუდგნენ, ოხალისეთა ლაშქრის წარმომადგენელნი გენ. აბაციევი და ყოფილი ქუთაისის გუბერნატორი, ნ. პოტულოვი და ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდათ მასთან.

**საგანგებო თათბირი დონის დელეგაციასთან.**

გუშინ 1 მარტს ნაშუადღევის 6 საათზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ბინაზე მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ ჟორდანიას თავმჯდომარეობით შესდგა საგანგებო თათბირი. თათბირს დაესწრნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი გეგეჭკორი სამხედრო მინისტრი ბ-ნი ლორთქიფანიძე მომარაგების მინისტრის ამხანაგი და დონის ყუბანის და თერგის წარმომადგენელნი.

ნიზელოს კვლავ მოუსმინეს. იგი დაესწრება ოთხშაბათის სხდომას. კონსტანტინეპოლის საკითხს თემთა პალატა ხვალ, ხუთშაბათს, განიხილავს ლოიდ ჯორჯი ამ სხდომას დაესწრება.

# უცხოეთი

## აზერბაიჯანი

**ქლეტა ზონქენდში**

ამ თვის 21-ს ზონქ ნდში ასკერები მოულოდნელად თავს დაესხნენ სომხებს და მოახდინეს ქლეტა. გაძარცვეს და დაანგრიეს სომხების სახლები და დუქნები. მოკლულია 60—65 სომეხი. გზები სომხებისთვის გაუვალია. („აზხ.").

## სომხეთი

**სომხეთის ორდენები**

15 თებერვალს გენერალ ლაზაზოვის თავმჯდომარეობით შესდგა სამხედრო შტაბის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ სამხედრო მინისტრი, სამხედრო საბჭოს წევრნი, ეპ. გარეგინი, ა. ტობანოვი, პრ. ქალანთარი, ორდენების დაარსების საკითხის განსახილველად და მათი ნახატის დასამტკიცებლად. მიღებულ იქმნა ორი მე-4 ხარისხის ორდენი: პირველი-სარდალ ვარდანის და მეორე ტრდატ დიდის სახელობისა. ორდენების ნახატები სომხურ სტილისანი არიან და შესრულებულია მხატვარ ხოჯაიანის მიერ. (სომხ. დეპ. სააგ.).

**სიკვდილის სიხშირე სომხეთში.**

სტატისკოს მიხეილ ავდეევს გაზეთ „სოც.-რევოლ"-ში მოჰყავს სტატისტიკური ცნობები ერევანში 1919 წ. სიკვდილიანობის შესახებ. აქედან ჩანს რომ წარსულ წელს ქ. ერევანში მოკვდა 14000 კაცი ე. ი. 20 პროც.

**სომხეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.**

ერევანში გაიხსნა სომხეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რომელიც მოქმედებას ამ დღეებში დაიწყებს.

## ოსმალეთი

**უმაღლეს კომისართა სხდომა სტამბოლში**

შეთანხმების სახელმწიფოთა სტამბოლის უმაღლესმა კომისრებმა მოახდინეს სხდომა ინგლისის საელჩოში, სადაც მიწვეული იყო აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრი მუსთაფა-რეშიდ ფაშა. თითქმის ორი საათის სხდომის შემდეგ უმაღლესმა კომისრებმა ზოგიერთი თავიანთი დადგენილება აცნობეს მუსთაფა-რეშიდ-ფაშას და დაავალეს მას მოუწოდოს ოსმალეთის პრესსას დაემორჩილონ იმ დადგენილებებს, რომელსაც გამოიტანს საზავო კონფერენცია.

## რუმინია

**შიშიანობა რუმინიაში.**

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ დნესტრის გზით მომავალი წითელ ლაშქრის რაოდენობა აღწევს 150,000-ს რამაც წარმოშვა შიშიანობა ბუქარესტში. რუმინიის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ტაკე-იონესკუს სიტყვით, შექმნილი მდგომარეობა საშიშოა რუმინიისა და თითქმის ბუქარესტისათვის, მოკავშირეთა დახმარება აუცილებელია, ნამეტნავათ თუ ნადველობაში იქნება მიღებული მუშათა და გლეხების განწყობილება, რომელნიც წინაღმდეგნი არიან ბოლშევიკების წინაღმდეგ სამხედრო მოქმედებათა დაწყებისა. როგორც იტყობინებიან, მეფე კარლოსი იწვევს სამხედრო საბჭოს.

## რუსეთი

(საქ. დეპ. სააგ.).

**ჩიჩერინის წინადადება.**

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა წინადადებით მიმართა შეერთებულ შტატების, იაპონიისა და და რუმინეთის მთავრობით საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ნოტებში ნათქვამია, რომ ყოველგვარი სადავო საკითხები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საზავო მოლაპარაკების საშუალებით, რომ ტერიტორიის საკითხები შეიძლება გადაწყდეს ისე, როგორც კი გვსურვება, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობას არავითარი სურვილი არა აქვს ვისმეს შინაურ საქმეებში ჩაერიოს, არამედ მას უნდა თავისი ეკონომიური მიზნები განახორციელოს. შეერთებულ შტატებისათვის გაგზავნილ ნოტაში სხვათა შორის ნათქვამია, ამერიკის სიმდიდრე, მრეწველობა და სამრეწველო უნარი იქნება ერთი უდიდესი ძალა, რომელიც ჩვენი ქვეყნის აღდგენაში ხელს შეგვიწყობსო. შეიძლება კატეგორიულად ვსთქვათ, რომ საბჭოთა რუსეთისა და ამერიკის დამოკიდებულება ორივე მხარეს დიდ სარგებლობას მოუტანსო.

**ჩიჩერინის ნოტა იაპონიის მთავრობისადმი**

გაზეთები ბეჭდავენ იაპონიის მთავრობისადმი ჩიჩერინის მიერ გაგზავნილ ნოტას, რომელშიაც საგარეო საქმეთა კომისარი იაპონიას აგონებს 1919-სა და 1918 წელში პეტროგრადში მომხდარ ეკონომიურ მოლაპარაკების შესახებ.

**ბოლშევიკების სამხედრო ცნობა**

(საქ. დეპ. სააგ.)

ონეგის და მურმანის მიმართულებით ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. ჩვენი ჯარი პოვენეცში შევიდა. პიტალოვის და რეჟეცის მიმართულებით მცირე ნაწილები მოქმედებენ. მაზირი - ვოლის-ნოვგოროდის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. ბერდიჩევის ჩრდილო-დასავლეთით 50 ვერსზე დაბა რომანოვთან ბრძოლაა.

**კულტურულ სამეურნეო ცხოვრების აღდგენა**

28 თებ. შესდგა მშრომელი ინტელიგენციის კავშირი, რომლის მიზანია კულტურულ სამეურნეო ცხოვრების აღდგენა. საპროგრამო დეკლარაციაში რომელიც დამფუძნებელმა ყრილობამ გამოაქვეყნა, კავშირი აღნიშნავს, რომ აუცილებელია საზღვარგარეთელ ინტელიგენტებისათვის ხელახლა განიხილონ თავისი შეხედულებები და მოსაზრებანი და ანგარიში გაუწიონ ფართე მასის სულიერ განწყობილებას. დეკლარაცია მოითხოვს: 1) რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის შეწყვეტას; 2) რუსეთთან კულტურული და საქმიანობის დამოკიდებულების განახლებას და 3) ფართე დახმარების გაწევას რუსეთის სამეურნეო ძალების აღდგენის საქმეში.

**მოსკოვის საბჭოს არჩევნები**

გუშინდლამდე არჩეული იყო 1382 დეპუტატი, აქედან 1186 კომუნისტი, 46 თანაგრძნობი 108 უპარტიო, 34 მენშევიკი, 2 მაქსიმალისტი 3 ანარქისტი და 1 მემარცხენე ესერი.

**რუსეთი და უმაღლესი საბჭო**

ლიტვინოვმა, რომელიც ინგლისთან სამხედრო ტყვეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა, უცხოელთა გაზეთების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ უმაღლესი საბჭოს ახალი გადაწყვეტილება საბჭოთა რუსეთთან არ დაიწყოს რაიმე დამოკიდებულება, ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მოკავშირეები ცდილობენ მოიგონ, დააგვიანონ აუცილებელი გადაწყვეტილება, მაგრამ მდგომარეობა ძალე აიძულებს მოკავშირეებს მიიღონ აუცილებელი გადაწყვეტილება და ერთად ერთი შესაძლებელი გადაწყვეტილება შეკრან ნორმალური, საბოლოო ზავი. რაც შეეხება რუსეთში კომისიის გაგზავნას, რათა ადგილობრივ გაეცნონ სინამდვილეს, ამის საწინააღმდეგო არც რუსეთს ექნება არაფერი.

## ინგლისი

(საქ. დეპ. სააგ.)

**ვილსონის ნოტა**

ოთხშაბათს დილით ლონდონში მიიღეს ვილსონის მეორე ნოტა ადრიატიკის საკითხის შესახებ. მას განიხილავენ ხუთშაბათს.

ლონდონში მიღებული ვილსონის ნოტა შემრიგებელ კილოთი არის დაწერილი, მაგრამ ის არ გვიჩვენებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან.

**უმაღლეს საბჭოში**

დილის სხდომაზე უმაღლესი საბჭო იხილავდა სმირნისა და ოსმალეთის იმ ტერიტორიების საკითხს, რომელნიც საბერძნეთს უნდა გადაეცეს. ვენიზელოს კვლავ მოუსმინეს...

## საფრანგეთი

(საქ. დეპ. სააგ.)

**გაფიცვები რკინის გზებზე.**

სინდიკალური ორგანიზაციების შემუშავებულ პროგრამის თანახმად ოთხშაბათ დილით შესწყდა „პლმ"-ის რკინის გზის ხაზზე მატარებელთა მოძრაობა. მუშაობა თითქმის ყველგან ერთ დროს შეჩერდა სახელოსნოებში დეპოებში და სხვაგან. მიუხედავათ ამისა რამდენიმე მატარებლის გაშვება მაინც შესძლეს. გაზეთები სწერენ: მთავრობამ ყოველგვარი ზომები მიიღო საერთო ინტერესების დასაცავად და არც პარიზსა და არც სხვა ქალაქს, რომელსაც კი ეს რკინის გზა ემსახურებოდა, სურსათ-სანოვაგე არ დააკლდებაო.

ხუთშაბათ დილით საზოგადო სამუშაოთა სამინისტროს შენობაში მოხდა კრება, რომელსაც დაესწრნენ შინაგან საქმეთა, სამხედრო და საზოგადო სამუშაოთა მინისტრები და სტატს-სეკრეტარის ამხანაგი. ითათბირეს რკინის გზებზე გამოწვეულ გაფიცვებისა და იმ ზომების სისრულეში მოყვანის შესახებ, რომელიც მთავრობამ დაისახა 10 თებერვლამდის, რათა მხარე სურსათ სანოვაგით უზრუნველყო. მოუსმინეს რკინის გზათა ხაზების დირექტორებს. შემდეგ საზოგადო სამუშაოთა მინისტრთა ტროე ესაუბრა რკინის გზის მუშათა ალმასრულებელ კომიტეტის დელეგაციის თათბირზე გადასწყვიტეს: 1) რკინის გზების დაცული იქნეს ყველგან სადაც ამას გარემოება მოითხოვს; 2) რკინის გზის მომქმედი ნაწილი მოწოდებულ იქნეს, რომ სწორი მისვლა-მოსვლა არ შესწყდეს და მხარე სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფილი იქნეს. მეორეს მხრივ გამოცემულ იქნება სურსათ სანოვაგის ხმარების შემზღუდველი კანონი, მიღებული იქნება სასტიკი ზომები ყოველგვარი სპეკულიაციისა და სანოვაგის გატანის წინაღმდეგ.

გაფიცვაა აგრეთვე პარიზ ლიონის რკინის გზის ხაზზე, საზოგადო სამუშაოთა მინისტრი სათანადო ზომებს იღებს.

**ფინანსიური კომისია.**

ლონდონიდან იუწყებიან: ფინანსიური კომისია შეიკრიბა ხუთშაბათს საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის ფრანსუა მარსალის მონაწილეობით: უმთავრესი კითხვა რომელიც კონფერენციას აინტერესებს, ეს არის კითხვა ვალიუტის შესახებ. ქაღალდის ფულის გადიდება და სხვა საკითხები გარჩეული იქნება იმის და მიხედვით, თუ როგორ გავლენას ახდენენ ისინი ვალიუტაზე.

**დელკასე.**

პარიზიდან იტყობინებიან მარსელ დელკასეს გარდაცვალების შესახებ იგონებენ მის საინტერესო სამეცნიერო მოგზაურობას სირიაში, სპარსეთში და განსაკუთრებით სუზაში მის მიერ მეფე დარის ტაძრის აღმოჩენას. დელკასე 75 წლის იყო.

**მილიერანი.**

(საქ. დეპ. სააგ.)

ხუთშაბათ დილით მილიერანმა ლონდონი დასტოვა. გაზეთები სწერს: საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მხოლოდ მაშინ დაბრუნდება ლონდონში, როდესაც კონფერენცია დაასრულებს საერთო ხასიათის კამათს და საბოლოო დასკვნას მიადგება. კომისიები თავის მუშაობას განაგრძობენ. „პტი პარიზიენი" ვილსონის უკანასკნელ ნოტის შესახებ სწერს: „მასში აშკარათ არის გამოხატული რომ საზავო საკითხია გარჩევა საფრანგეთისა და ინგლისთან შეთანხმებით მოხდესო. ხუთშაბათს გამოუშვებული პასუხი ანგარიშს უწევს პრეზიდენტის განცხადებებს, ფიქრობს გაზეტანტოთ მისი შიში და შედგენილია მეგობრულის კილოთი.

## პოლონეთი

**საზავო ხელშეკრულების პირობის პროექტი საბჭოთა რუსეთთან**

(საქ. დეპ. სააგ.)

პოლონეთის სეიმის საგარეო საქმეთა კომისიამ საბჭოთა რუსეთთან საზავოს ხელშეკრულების პირობითა პროექტი გამოიმუშავა. იმ პროექტს პირველად წარუდგენენ მოკავშირეთ მათი ნებართვის მისაღებად. გერმანელ გენერალ გოფმანის დაგვარად, რომელსაც ბრესტის ზავის შეკვრის დროს პლებისციტის სახით სურდა გერმანიასთან არა გერმანიის ადგილები შეერთებია, პოლონელები პირველ მოთხოვნილებად აყენებენ საზღვრების განსაზღვრას, ვითომ ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებისა და სურვილების თანახმად.

რაც იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთის სამხედრო ოკუპაცია მოხდა მხოლოდ კომედია იქნება, შემდეგ, პოლონელები ფიქრობენ წარადგინონ უფრო უცნაური მოთხოვნილება, საზავო ხელშეკრულობის რატიფიკაციის დროს რუსეთში მოწვეული უნდა იქმნეს ბურჟუაზიული პარლამენტი პოლონეთის მთავრობის გავლენით ვარშავაში მიტინგზე, წარდგენილ იყო მოთხოვნილება რუსეთიდან ყველა არა რუსის ხილხის გამოყოფის შესახებ.

## ეგვიპტე

**დემონსტრაციები ინგლისელთა წინაღმდეგ.**

(საქ. დეპ. სააგ.).

ბრძოლა ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის, ქაიროზე ინგლისის გენერალ-გუბერნატორის გავლის დროს ინგლისელთა საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოხდა. ყველა სადგურზე ხალხი მოითხოვდა ეგვიპტის დამოკიდებულებას და სწვავდა ინგლისელთა დროშებს.

## იაპონია

**იაპონელები ციმბირში.**

მოსკოვი. თებ. 16. ვლადივასტოკიდან იუწყებიან, ციმბირიდან ჩეხების წასვლის შემდეგ იაპონელების წინ აღსდგა საკითხი: წაიყვანოს მანაც ჯარი ციმბირიდან, თუ ებრძოლოს საბჭოთა რუსეთს? ამ უკანასკნელს ის ვერ სწყვეტს, როგორც სჩანს, რადგან ის ძალას უნდა მოუფრთხილდეს რომ ვინიცობაა ამერიკასთან ბრძოლა მოუხდეს. ამას გარდა იაპონიაში ინტერვენციის წინაღმდეგ დიდი მოძრაობაა.

# ახალი ამბები

**ოსეთის ყრილობის მისალმება მთავრობას.**

მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო ჯავიდან: „ოსეთის ყველა სოფლების, გარდა მთის ოსეთისა, წარმომადგენელთა ყრილობა რესპუბლიკის მთავრობას ულოცავს დამოუკიდებლობის აღიარების დიად აქტს; ყრილობას სწამს, რომ ეს ისტორიული ამბავი შედეგია იმ დემოკრატიულ წესწყობილებისა, რომელმაც რესპუბლიკის მცხოვრებნი გადაარჩინა ანარქიას და სამოქალაქო ომს.

გაუმარჯოს ნ. ნ. ჟორდანიას და მის მთავრობას".

თავმჯდომარე ჯიოევი.

**დამფუძნებელ კრებაში**

**სოც.-ფედ. ფრაქციის შეკითხვა დამ. კრებაში.**

სოც.-ფედ. ფრაქციამ 1 მარტის სხდომაზე დამფუძნებელ კრებაში შემდეგი შეკითხვა შეიტანა:

„ეს ერთი ხანია, რაც დროებით ძალადობით ჩამოგლეჯილ ბათომის და მისი ოლქის საქართველოსთან შემოერთებისთვის მთავრობამ ერთგვარი ზომები მიიღო და სათანადო განცხადებაც გამოაქვეყნა, მაგრამ დღემდის ამ საკითხის გადაჭრას არა ეშველა რა. რაც დრო გადის, საქმე უფრო რთულდება და მით რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებს ხიფათს უმზადებს.

იცის თუ არა მთავრობამ ყოველივე ეს, ან თუ იცის, როდის იქნება მიღებული უკანასკნელი ზომა, რომ საბოლაოდ გადაწყდეს ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსთან შემოერთების საკითხი".

**მეორე ქართულ კლუბში.**

კვირას, 29 თებერვალს შესდგა მეორე ქართულ კლუბის წევრთა წლიური საერთო კრება. ფეხზე ადგომით კრებამ პატივი სცა გორში მიწის ძვრისაგან დახოცილთა ხსოვნას. მოისმინეს და უცვლელად დაამტკიცეს 1919 წ. მოქმედების ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება და 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. წარსულ წელს მამასახლისთა საბჭოს სხვა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებათა სასარგებლოდ გადაუდვია 851,449 მან. შემდეგ კრებამ დაადგინა კლუბის მოგებიდან გადაიდოს 50,000 მან. მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის და ამას გარდა იმავე მიზნით გადაიდოს პროცენტები კლუბის სხვა და სხვა შემოსავლებიდან, სულ დაახლოვებით $^1/_2$ მილ. მან. კრებამ გადასწყვიტა შეიცვალოს კლუბის წესდების ზოგიერთი მუხლი და კლუბთან დაარსდეს საურთიერთო დამხმარე კასა და კოოპერატივი, რისთვისაც გადაიდო 100,000 მან. დანარჩენი საკითხების განხილვა და არჩევნები შემდეგი კვირისთვის გადაიდო.

**კრებები**

გორის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა, რომელიც არ შესდგა 20 თებერვალს მომხდარ მიწის ძვრის გამო, მოწვეულია მიმდინარე წლის 6 მარტისათვის ქ. გორში ერობის ბინაზე.

**სამხატვრო ქრონიკა**

„სამეგრელოს მთავარი ლევან". ოთხშაბათს, 3 მარტს არტისტიულ საზოგადოების თეატრში ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ვასილ ყიფიანის ცნობილი ისტორიული დრამა „სამეგრელოს მთავარი ლევან".

**სასამართლო**

**ლომინაძის საქმე**

13 თებერვალს თბილისის დროებითი სასამართლოში ირჩეოდა აჯამეთში ხე-ტყის დამამზადებელ კომისიის წევრის, ადგილობრივ ტყის გამგის ზაბულონ ლომინაძის საქმე. სასამართლომ ლომინაძე სცნო უდანაშაულოთ და გაამართლა. ბრალდებულს იცავდნენ ზ. მესხიშვილი და კ. ნინიძე.

**სხვა და სხვა ამბები**

**საქართ. ტეხნიკურ საზოგადოებაში**

საზოგადო კრებამ მიწის ძვრის კომისიაში აირჩია ინჟინრები: მ. ყაუხჩიშვილი, ვ. კაკაბაძე, ვ. ივანიცკი, ი. სტურუა და ვ. ავალიანი. კომისიას დაევალა კოოპტაციის საშუალებით მოიწვიოს საჭირო პირები, არსებულ კომისიებთან კავშირი დაიჭიროს, საკითხი ყოველმხრივ შეისწავლოს და მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ ტეხნიკური დახმარება აღმოუჩინონ.

**სასოფლო მეურნეობა**

**სოფლის მეურნეობის მაზარალებელთა გამოკვლევა**

სენაკის ერობამ შუამდგომლობა აღძრა სოფ. მეურნეობის მავნებელთან მებრძოლ ბიუროს წინაშე, რათა უკანასკნელმა დ ენებულ მაზრაში გაგზავნოს სპეციალისტი მავნე მწერთა და კულტურულ მცენარეთა სნეულებების გამოსაკვლევად. სპეციალისტის ხარჯებს სენაკის ერობა კისრულობს.

**სოფლის მეურნ. მავნე მებრძოლი ბიუროს მუზეუმის** (მიწად-მოქმედების სამინისტრო) დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე 1—3 საათზე. ბიუროს სპეციალისტები მსურველთ აუხსნიან მცენარეთა წამლობის და მავნე მწერებთან ბრძოლის საშუალებებს; იქვე შეუძლიან შეიძინონ ბიუროს გამოცემანი აღნიშნული საკითხების შესახებ.

## თეატრი

**დღეს:**

სახელმწიფო თეატრი „თაისი". „ტარტუ"-ს დრამა «ყაჩაღები».

## მეაბრეშუმეთა ყრილობა

29 თებერვალს თბილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა საქართველოს მეაბრეშუმეთა ყრილობა. დაესწრო წარმომადგენელნი სხვა და სხვა კუთხიდან. იყვნენ აგრეთვე დაწესებულებათა და სამინისტროს წარმომადგენელნი. აგრეთვე მეთესლეები მყიდველები და ექსპორტიორებიც. დეპეშები იყო მიღებული ყველა რაიონებიდან, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ტ. მარგველაშვილმა კრების გახსნისას მიაქცია დამსწრეთა ყურადღება რომ კრებაზე წარმოდგენილია უმეტესათ პარკით და თესლით მოვაჭრენი და მეთესლეები (გრენიორები) და შედარებით უფრო ნაკლებათაა წარმოდგენილი თვით მეაბრეშუმენი — გლეხობა და წინადადება მისცა კრებას ყრილობა გადადებულიყო, რაც კრებამ ერთხმათ მიიღო (ერთის წინააღმდეგ). მომავალ ყრილობის ადგილათ დაინიშნა ქ. ქუთაისი, თანახმათ დამსწრეთა უმეტესობის გადაწყვეტილებისა. იყო განცხადებები გურიიდან, იმერეთიდან (ტობანიერიდან) ხონიდან, სამტრედიიდან და სხ. რადგან ბ. ტ. მარგველაშვილი ფრიად საყურადღებო დავალებებით პირველ მარტს ლონდონში მიემგზავრება, მისივე წინადადებით ხელმძღვანელად ქუთაისში მარტის დღესასწაულისთვის მოსაწყობ ყრილობისა არჩეულ იქმნა ბ. ი. ქუთათელაძე.

## ახალი გორი

ისეთი სტრატეგიული ადგილი, როგორიც უჭერია გორს, შეუმჩნევლად და უსარგებლოდ არ დარჩებოდათ ჩვენ წინაპრებს.

ჯერ ისევ მამასახლისობის დროს მცხეთას მტკვრის პირ-პირ აშენებოდა ციხე-სიმაგრეები: ციხე-დიდი, კასპი, უფლისციხე, ურბნისი და ოძრახე. შემდეგ, მცხეთას აქეთ აშენდა თბილისი და უფლისციხეს იქით—გორი. მანამდი-კი დედაქალაქებად და უმთავრეს სიმაგრეებად იყვნენ მცხეთა და უჯარმა, იორზე.

რა დროს, სახელდობრ, აგებულია გორი, არა სჩანს. მხოლოდ არჩილ მეფემ (+718 წ.) „დასხნა მახლობლად გორის საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი", და ესვე გორი იმპერატორ ერეკლემ (622-629) „განაჩინა განძთა სამალავად მათთვის, რომელნი თანა ვერ წაჰქონდეს" (ქ. ცხ. 172, მარიამდედ. ნუსხა 199).

იქვე შენიშნავს მემატიანე, რომ „სახელი გორისა მის არსო ტონთიო, რომელიც თარგმანებით არსო „მთა-ოქროისა". არც ერთ ენაში, რავდენადაც შემეცნებულ ვართ, არ მოიპოვება სიტყვა „ტონთიო", რომელიც აღნიშნავდეს „ოქროს მთას". ეგების იყოს ლი-თონ-თაი (თაი ინგ.) და თანად (სვ.) მთა, ან ბერძნ. „ton tio" შეგვასებისა, დასაკმაყოფილებელი.

მაგრამ მემატიანე ცხადად არ ამბობს, ეს „გორი" მართლა ქალაქი გორი იყო, თუ რაღაც გორა. ქ. ცხ. (გვ. 294) გორს იხსენიებს თამარის მეფობაში და ბროსე შენიშნავს—ეს პირველი ხსენებაა ქალაქ გორისა ქართლის ცხოვრებაში. (Hist. 425, შენ. 2).

ამის შემდეგ საკვირვლად გვხვდება ზოგიერთების განცხადება, რომ, ვითომ, გორი სომხებისთვის გაუშენებინოს დავით აღმაშენებელს. ამისთანა განცხადებას ამყარებენ მათე ედესელის ცნობაზე, რომელიც იუწყება:

დავით აღმაშენებელმა „სომხის ერს აუგოო საქართველოში ერთი ქალაქი და მასში აუშენათო რამდენიმე საყდარი და მონასტერი, და იმ ქალაქს ეწოდებოდაო გორჰა". (Addit, 230).

აქ ბროსე შენიშნავს:

„არავინ უწყის მის (ხსენებულ ქალაქის) დამაარსებელის ვინაობა. ამ ქალაქის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ მას რქმევია კორჰა ანუ კორანა (K'orha ou K'orana) (იქვე შენ. 5).

რომ ეს ქალაქი არ ყოფილა გორი, სჩანს თუნდა მათე ედესელის იმ ჩვენებიდამ, რომ სომხებისთვის აგებულ ქალაქში აღმაშენებელმა სომხებს აუშენაო რამდენიმე ეკლესია და მონასტერი, ხოლო ყველამ კარგა იცის, რომ ქართლის გორში არას დროს არ ყოფილა არა თუ რამდენიმე მონასტერი, არამედ თუ გინდ ერთიც. შესაძლებელია სომხებისთვის დავით მეფეს მოეწყო გორნეა, რომელიც ჯერ ისევ ტაციტის დროს იყო ციხე სომხეთში (ჰანე 1—119) ან ცნობილი სიმაგრეები გარნისი, კარისი თუ სხვა.

გორის მოქალაქე სომხები და აგრეთვე ამ ქალაქის ახლო-მახლო სოფლებში მოსახლე სომხები ტვიფით, ენით და ზნე-ჩვეულებითაც არიან იგივე ქართველები ანუ ამათი მსგავსი, მაგრამ ამ მხრივ ესენი რაოდენათმე გაირჩეოდნენ ქართველებისაგან, თუ ყოფილიყვნენ ჩამომავალნი იმ სომხებისა, რომელნიც აღმაშენებელმა დაასახლა კორანას თუ გორჰას ანუ გავრს.

გორის და მის მიდამოს სომხობა, ვით ქიზიყისაც და საქართველოს სხვა ადგილებისა ალბად ნაშთია იმ ქართველებისა, რომელთაც ეკლესიათა გაყოფის ხანებში არ მოინდომეს სომხის ალსარებას გამოჰშორებოდნენ, და გრიგორიანებად დარჩნენ, და მას აქეთ თვით სომეხ ტერტერების სამრევლო სკოლის მეცადინეობამაც დღევანდლამდე ვერ გარდაქმნა იგინი წმინდა წყლის სომხებად.

ჩვენ არ ვიცით, რომ მიწის-ძვრას როდისმე გორი დაეზარალებინოს, და ახლა კი დაანგრია. ამისთვის ყველანი ვწუხვართ და ყველანი ვტირით, ვაგროვებთ წვლილს, რომ ხელ-ახლა აღვაორძინოთ ქალაქი და გავერანებული სოფლები.

დანგრეული გორი ისე უნდა ავაშენოთ, რომ იგი გახდეს ქვეყნისთვის მაშუქებელ ლამპრად, ჰქონდეს ქარხნები, სამეურნეო და სატეხნიკო სკოლები, კარ-წინ ჩამომდინარე მტკვრისა და ლიახვის ძალებით აბრუნებდეს მრავალი ჩარხებს, სართავ-საქსოვ საჰენტავსახერხავ მანქანებს, საქსოვ დაზგებს, მანჯანიკებს.

საერობო კოოპერატივებმა უნდა სამუდამოდ მოსპონ ჩვენებური ჩარჩული ვაჭრობა, და მრეწველობა დააყენონ ისეთ დონეზე, რომ სარგებლობა მოუტანოს ყოველს ჭეშმარიტ მუშაკს და უხვი შემცნილობა შეჰმატონ საქართველოს რესპუბლიკას.

აი, ვიმეორებთ, სწორეთ ასეთი იერი უნდა მიეცეს ჩვენს ახალს გორს, რომ ღირსეულად ემსახუროს ახალს საქართველოს.

რაც შეეხება დანგრეულ სოფლებს, კარგი იქნებოდა, რადგან ზამთრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროა და ხალხის მალე დაბრუნება აუცილებლად საჭიროა ეხლავე, რომ ყინვა-სიცივემ უმეტესად არ დააზარალოს იგი, დროებით, ვიდრე მთავრობისა და საზოგადოების დახმარება მიეწეოდეთ, მიჰყოლოდნენ მამა პაპურ გზას: ხელდახელ დაეთხარათ მიწურები, გადაეხურათ ბანები და შიგ დაბინავებულიყვნენ. მით უმეტეს, რომ ასეთი ხახლები უვნებელია მიწის-ძვრისაგან, რომელიც შეიძლება კიდევ განმეორდეს. სოფლელების საშველად და ამ საქმის დასაჩქარებლად მთავრობის ნება-დართვით შეიძლებოდა სოფლებში გასულიყვნენ უფროსი კლასების მოწაფეები, თავისუფალი ჯარის კაცები და მოხალისეები. ერთ-ორ კვირაზე ყველას ექნებოდა თავსაფარი, თუმცა მცირე, მაგრამ უშიშარი და ძვრისაგან ზარცემულთა დამაშოშმინებელი.

მ. ჯანაშვილი.

## უკანონობის ნიმუში

მსოფლიო ომმა და სისხლით გაუმაძღარმა რუსეთის რევოლიუციამ არსებულ მსოფლმხედველობაში დიდი ცვლილება შეიტანა, ზოგიც სავსებით გაამათლა; პოლიტიკურ, ეკონომიურ, სოციალურ, ნაციონალურ, ფსიქოლოგიურ და უფლებრივ სფეროებში აუარებელი პრობლემა წამოაყენა, რომელთა გადასაწყვეტად კაცობრიობას რევოლიუციის გათავების შემდეგ არა ერთი და ორი წელი დასჭირდება, მაგრამ მათ შორის არის ერთი მანამდის აქსიომად მიჩნეული და დღეს კი პრობლემად ქცეული, რომლის გადაჭრა ლენინისა და ჩვენი სოციალისტების წყალობით დღესაც შეიძლება.

მანამდის ჩვენ გვეგონა, რომ აბსოლიუტიზმი, თვითნებობა და ადამიანის უფლებათა გადალახვა ნიკოლოზის და მისი მოხელეების განსაკუთრებული თვისება, მათი განსახიერება იყო, რომელიც მათთან ერთად გაქრებოდა; აგრეთვე გვეგონა, რომ თუ სოციალისტები გაბატონდებოდენ ამ ქვეყნად სამოთხე დამყარდებოდა, მაგრამ სინამდვილემ ნათელჰყო, რომ აბსოლიუტიზმი, თვითნებობა, ძალა-უფლების სიყვარული ყოველი ადამიანის თანდაყოლილი თვისება ყოფილა, რომ ადამიანი ბატონობას ძალიან მალე ეჩვევა და მისი შენარჩუნებისათვის ძალიან ადვილად გადალახავს პრინციპებს, კანონებს, მორალს, ეთიკას და თუ გინდ ყოველგვარ კარგ თვისებებს. ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის ძალა-უფლების და ბატონობის მოყვარეობამ ქრისტიანული, უაღრესად ჰუმანიური მოძღვრება იეზუიტიზმ-ინკვიზიციამდე მიიყვანა და დღეს ვხედავთ, რომ ამავე ძალამ სოციალისტური მოძღვრება ლენინის აბსოლიუტიზმში გადააგდო, უფრო თვითნება გამოდგა. აქედან დასკვნა ერთია—ადამიანი იბრძვის ძალა-უფლებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა არ უნდა გადასცილდეს ეთიკის კანონების საზღვრებს და ძალა-უფლება უნდა ჩამოისხას მორალურ-იურიდიულ კანონების ფორმაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალა-უფლება იქცევა უზურპაციად, თვითნებობად, ძალმომრეობად, სხვისი უფლების უარისყოფად. მაგრამ იმ ხალხს, რომელიც აღზრდილია პროლეტარიატის დიქტატურის იდეოლოგიაზე, საშუალო გზა არა აქვს — ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში უნდა გადავარდეს და დიქტატურა, მარჯვნიდან იქნება ის თუ მარცხნიდან, გულისხმობს აბსოლიუტიზმს, თვითნებობას და უკანონობას, რასაც დემოკრატია, რომლის იდეოლოგია ყოველ გვარ დიქტატურის უარის მყოფელია, აწი მაინც დიდხანს ვერ მოითმენს.

ჩვენ მრავალი მაგალითები გვაქვს უკანონობისა და თვითნებობისა, რომელიც ჩადენილია ჩვენში გაბატონებულ პარტიის. მათ ჩამოთვლას დღეს არ ვკისრულობთ. დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი საბუთი უაღრესად თვითნებურ მოქმედებისა და შევჩერდებით ამ ფაქტზე იმიტომ, რომ ის უფრო სიმპტომატიურია და ჩვენი მომავლის გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა აქვს.

მთელს საჩხერის რაიონში და არგვეთის თემშიც თემის ხმოსნების არჩევნები მოხდა 1919 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში და ამ თემში ოცი ხმოსნიდან თერთმეტი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის. არჩევნები დამტკიცებულ იქმნა და თემის გამგეობაც მაშინვე შესდგა, რომელიც დღესაც მუშაობს. გამგეობის თავმჯდომარედ და მის ამხანაგად არჩეულ იყვნენ ეროვნულ დემოკრატები და მესამე წევრად - სოციალ-დემოკრატი. ის გარემოება, რომ ეროვნულ-დემოკრატები უმრავლესობას შეადგენენ, თურმე, სოციალ-დემოკრატებს მოსვენებას არ აძლევდა და მოუნდომებიათ როგორმე ახალი არჩევნების მოხდენა; შეუკრებიათ მცირე რიცხოვანი კრება და დაუდგენიათ, რომ ის არჩევნები უკანონოდ იქმნას ცნობილი და ეთხოვოს შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობას მოახდინოს ახალი არჩევნები, რაც ერობის გამგეობას კიდევაც დაუკმაყოფილებია და ახალი არჩევნები დაუნიშნავს ამა წლის 14 მარტისათვის.

რა მოსაზრებით? რა უფლებით?

ამის პასუხის ღირსად არავის სცნობენ.

აშკარაა, რომ ამ ხალხს მიზნად დაუსახავს, რითაც არ უნდა დაჯდეს, უმცირესობის გაბატონება უმრავლესობაზე, ეს კი უარყოფაა დემოკრატიზმისა და ნიშნავს გადავარდნას ჰიპერ-რგის უკიდურესობაში, რომელმაც სთქვა: „არა სახელმწიფო არსებობს მოქალაქეთათვის, არამედ მოქალაქენი სახელმწიფოსათვის“.

რას გვეუბნება ეს ფაქტი? ნუ თუ არა იმას, რომ ეს ხალხი იმდენად შეეჩვია ბატონობას, რომ მისი შესანარჩუნებლად სამოქალაქო ომსაც არ დაერიდება? განა ამის შემდეგ ამ ხალხს რომელსაც თავისი ბატონობის სამი წლის იუბილეც არ გადაუხდია ჯერ აქვს უფლება უსაყვედუროს ნიკოლოზს რომელმაც შვიდი წლის წინ სამასი წლის იუბილე გადიხადა, რომ მან უსისხლოდ არ დასთმო თავისი ბატონობა?

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კი გვიწვევენ.

ალბათ მხოლოდღა დემოკრატიის თვალის ასახვევად!..

ი—ნი.

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება.

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების უმთავრეს დანიშნულებას შეადგენს ტრანსპორტის მოწყობა-მოწესრიგება რესპუბლიკის ფარგლებში, —როგორც ხმელეთზედ, ისე ზღვაზედ. ამ რთული მიზნის განსახორციელებლად მთავრობის მიერ გადმოცემული ავტომობილები და გემები საკმაო არ იყო არც რიცხვით, არც ავისი მდგომარეობით, ვინაიდგან უმეტესი მათგანი ძველი, გაცვეთილი და დაზიანებულია, მასთან ბევრ ნაწილებს მოკლებული, რომელთა ადგილობრივ შეძენა შეუძლებელია. ამიტომ საზოგადოებამ გადასწყვიტა საზღვარგარედ შეეძინა საჭირო საგნები და ამ მიზნით მან მიიღო მთავრობისგან ნებართვა გატანა საზღვარგარედ 50.000 ფუთი თამბაქო, იმ პირობით, რომ ამ თამბაქოს რეალიზაციით განაღდებული თანხით შეძენილი უფროლიყო განსაკუთრებით ავტომობილები და გემები. საზოგადოება ენერგიულად შეუდგა ამ საქმეს, რომელიც თითქმის დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან თამბაქოს პირველი ნახევარი უკვე გატანილი და გაყიდულია და მეორე ნახევარი ამ დღეებში იგზავნება.

საზოგადოების გამგეობამ მიიღო ლონდონიდგან თავის თავმჯდომარის აკაკი ხოშტარიასგან, რომელსაც აქვს მინდობილი თამბაქოს რეალიზაცია და ქონების შეძენა, საინტერესო ცნობა: მას უკვე გამოგზავნილი აქვს 30 ფორდი; დამთავრებულია მოლაპარაკება და მოკლე ხანში გამოიგზავნება 20 ავტობუსი, 15 საბარგო ავტომობილი და 5 სამგზავრო. მაშასადამე, ახლო მომავალში საზოგადოება მიიღებს 70 ავტომობილს, რაიცა შეძლებას მისცემს მას სასურველ ნიადაგზედ დააყენოს მიმოსვლა ყველა იმ ადგილებში, სადაც მოითხოვს ამას რესპუბლიკისა და ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესი. დამეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის მოთხოვნილება სავსებით იქნება დაკმაყოფილებული და ამ ჟამად ცუდს მდგომარეობაში მყოფი კუთხეები ასცდებიან იმ გაჭირვებას, რომელშიაც იგინი აქამდე იმყოფებოდნენ ტრანსპორტის მოუწესრიგებლობის გამო.

არც ზღვის ტრანსპორტია დავიწყებული. ამ საქმის სასურველ კალაპოტში ჩასაყენებლად არა კმარა ის გემები, რომელიც ამ ჟამად აქვს საზოგადოებას ფლოტში. ყოველ შემთხვევაში უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საზოგადოებამ შეაკეთა ეს გემები და აწარმოებს მიმოსვლას რესპუბლიკის ნავთსადგურთა შორის, მაგრამ მიმოსვლა იმ ფარგალში, რომელსაც დღევანდელი პირობები მოითხოვს, მხოლოდ მაშინ მოეწყობა, თუ საზოგადოებამ ახალი დიდი გემები შეიძინა, რომ მათ შეეძლოთ სიარული რესპუბლიკის გარეშეც: საზოგადოების მაგარ ნიადაგზედ დასაყენებლად აუცილებლად საჭიროა საზღვარგარეთთან პირდაპირი დაკავშირება და ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, თუ საზოგადოებას თავისი მძლავრი ოკეანის გემები ექნება. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივაც საქმე სწორ გზაზეა დაყენებული: აკაკი ხოშტარია იუწყება, რომ წინასწარი მოლაპარაკება გაჩაღებულია და, ჩვენ თუ არა აქედგან თამბაქოს მეორე ნახევარი, დამთავრდება საქმე ორი ახალი დიდი გემის ყიდვის შესახებ, თითო 4000 ტონ ანი.

ამგვარად ახლო მომავალში საზოგადოება ფართო მაშტაბით შეუდგება მიმოსვლის წარმოებას, რაიც აშკარაა თვალსაჩინო შემწეობას გაუწევს მწვავე ეკონომიურ პირობათა შემსუბუქებას, ვინაიდგან ეჭვს გარეშეა, რომ ბაზრის არევ-დარევაში ერთს უმთავრესს მიზეზს ტრანსპორტის უქონლობა და მოუწესრიგებლობა შეადგენს.

ყურადღებას იწვევს კიდევ ერთი მხარე საზოგადოების მოქმედებისა. საქმე იმაშია, რომ თავისი ფართო მექანიკური სახელოსნოები საზოგადოებამ სამი თვეა, რაც დროებით დახურა, რადგან იმ პირობებით მუშაობა, რომელიც იქ იყო დამყარებული, ზარალის მეტს არაფერს იძლეოდა და არც საქმე კეთდებოდა. განზრახულია სახელოსნოების ხელმძღვანელი პერსონალიც საზღვარ გარეთიდგან იქნეს მოწვეული, რათა საქმეს ჩაუდგენ სათავეში სპეციალურად მომზადებული და დისციპლინით გამსჭვალული პირნი. უამისოთ საქმის ჯეროვანად სვლა, რასაკვირველია, არ იქნება უზრუნველყოფილი.

როგორც ბ. აკაკი ხოშტარია იუწყება, მას მოლაპარაკება აქვს ლონდონში ვიკერსტის უდიდეს ფირმასთან; ეჭვს გარეშეა, რომ მოლაპარაკება სასურველად დაბოლოვდება და ახლო მომავალში საზოგადოების სახელოსნოები დაიწყებს მუშაობას; უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უზარმაზარი სახელოსნოები არამც თუ თავისთავად იქნებიან საყურადღებო, არამედ მათ სხვა მნიშვნელობაც ექნება: სამაგალითოდ მოწყობილი საქმე, ევროპიულ ნიადაგზედ დაყენებული, უეჭველია, მიბაძვას გამოიწვევს, წაახალისებს ჩვენს მუშებს და შეძლებას მისცემს მათ შეისწავლონ საქმე იმ გვარად როგორც მოითხოვს ამას დღევანდელი ევროპიული ტეხნიკა.

მეგობარი.

## კორესპონდენციები

### წერილი ივრის ხეობიდან

ოქტომბერ-ნოემბერში 1919 წ. ივრის ხეობიდან მოწოდებულნი იყვნენ, დაბადებულნი 1899 წ. სამხედრო ბეგრის ასასრულებლად. ვის შეღავათი ჰქონდა, თუ არ ჰქონდა, განურჩევლად ყველანი წაასხეს. ძველად იყო შეღავათი პირველი ხარისხისა, მეორისა და მესამისა. ადგილობრივ არკვევდნენ, ვისაც პირველი ხარისხის შეღავათი ჰქონდა, ის სრულიად არ მიჰყავდათ. ეხლა კი ყველა წაასხეს იმ სიტყვებით: თუ გაქვთ რამე შესაწყნარებელი საბუთი, გვარჩევთ და ვისაც შეღავათი მიეცემა, უკანვე დავაბრუნებთ“..

მოვიყვან ერთ დამახასიათებელ მაგალითს. ნოემბერში სხვებთა ერთად წაიყვანეს ჯარის კაცად ერთი ოჯახიდამ ანდრია გილანაშვილი. მას დარჩა სახლში უძლური დედა და ორი და, ერთი 16 წლ., მეორე 12 წლ. ყრუ-მუნჯი და შეძლება სრულიად არაფერი. მისი დაავადებული დედა შვილის დასახსნელად ხან აქეთ ეცა, ხან იქით, მიჰმართა თემის გამგეობას, მაგრამ ყური არავინ უგდო. რომ ადგილობრივ ვერას გახდა, თხოვნით მიჰმართა მინისტრთა თავმჯდომარესაც. ამნაირ შემთხვევაში, როგორც ხშირად მიღებულია, საცოდავ დედაბერს პასუხი არავინ ღირსა და მისი შვილი, ჯარის კაცი, იანვრის შუა რიცხვებში, ახალციხეში, პარტახტიანმა სახადმა იმსხვერპლა. ბედისაგან დაჩაგრული ოჯახი ერთად ერთი მუშა კაცის სიკვდილით მიწასთან გასწორდა. კითხვა იბადება, ვინ არის ეხლა ზნეობით მოვალე ნივთიერად დახმარება გაუწიოს დაღუპულ ოჯახის წევრებს, საქართველოს რესპუბლიკა, თუ ის სათავეში მდგომნი პირნი, რომელთ ჭინიანობით ოჯახს მუშა კაცი წაერთვა და წუთის სოფელს გამოესალმა? უცნაური წესი არის, რათ უნდა მოვაშოროთ ოჯახს მუშა კაცი, რათ უნდა დავტოვოთ ოჯახი უკაცოდ?! თუნდა ესეც არ იყოს, სამი თვე, ვიდრე საქმე გაირჩეოდეს შეღავათიანი პირისა, რათ უნდა ჭამოს მან სახელმწიფო პური? უნდა ისიც აღვნიშნოთ, რომ ეხლა იბარებენ სამხედრო ბეგრის ასასრულებლად მარტო მეტრიკის წიგნით. მეტრიკის წიგნებში სხვადასხვა მიზეზების გამო ყველა დაბადებულნი არ იწერებიან; ერთი მესამედი მაინც რჩება ჩაუწერავი. ისინი, ვინც მეტრიკის წიგნებში ჩაწერილნი არ არიან—ეხლა სრულიად თავისუფალნი არიან სამხედრო ბეგარისაგან, რომელი გარემოებაც ხალხში ჰბადებს შურს და უსიამოვნებას. რუსის მფლობელობის დროს ყველა სოფლის საზოგადოების სამწერლოებში მოიპოვებოდა კამეღარიული წიგნები და ოჯახური სიები, რომელნიც ყოველ წლიწადს სწორდებოდენ. ვინც მეტრიკაში არ იქნებოდა ჩაწერილი, სიით მაინც იქნებოდა შოწოდებული, ისე რომ სამხედრო ბეგარას ყველა ასრულებდა. ეხლა კი ერთი მესამედი მეტ ვრცელებისა თავისუფალია სამხედრო ბეგარისაგან და სწორედ ეს გარემოება არის უმთავრესი მიზეზი „დეზერტირობისა“. ჩვენი გლეხის ფსიხოლოგია ესეთია: „თუ ჩემი მეზობელი, ჩემი [illegible] შინ ზის, ჯარისკაცათ არ მიჰყავთ, მე რაღათ წავალ, სხვის გულისათვის თავს რაზე მოვიკლავ“. აითი აიხსნება, რომ ჩვენი ხეობიდან გაქცეული სულ მცირე ხნის შემდეგ სამსახურიდან გამოირბის, სახლში ბრუნდება და მერე იმისი მომკითხველი აღარავინ არის. დრო არის მოწესრიგდეს სამხედრო ბეგრის ასრულების საქმე და დღევანდელ ლაუდევრობას და უსამართლობას ბოლო მოეღოს.

ამ ოცი წლის განმავლობაში არ გვინახავს ისეთი დიდი თოვლი და საშინელი ყინვები, როგორიც ეხლაა, ამ ჩვენს ხეობაში. ხალხი დამწყვდეულია, ველარ საქმობს. თუ დიდხანს გაგრძელდა ასეთი ათ გრადუსიანი ზამთარი, ოთხფეხი საქონელი სულ გაგვიწყდება და ისედაც დაავადებული ვენახები სულ ამოგვიხმება. ფილოქსერა ისე გაცხოველდა განსაკუთრებით სოფ. პატარძეულში და ნინოწმინდაში, რომ ბევრგან გაკაფეს გამხმარი ვაზები და ვენახები სახნავ მიწ ბად გადააქციეს.

ჭინოწმინდელი.

## მუსიკა ქართულ სკოლაში

(დასასრული)

აი შედიხართ თეატრში და გეყურებათ ღვთიური ხმა ორკესტრისა; იცით კი, რად არის ეს ხმა ასე მომაჯადოებელი. იცით, რომ არიან-სამუსიკო და არა სამუსიკო ხმები? იცით რამდენი ხმა არის მიღებული სიმღერა-მუსიკაში სახმარებლად? იცით რა თვისებები აქვს სამუსიკო ხმებს და რამდენია ეს თვისება? მაპატიეთ, გავკადნიერდები და გეტყვით, რომ თქვენ ამ ხმებზედ არაფერი არა იცით რა, გარდა ორიოდ იმ სიტყვისა, რაც გახსოვთ იმ ლექციებიდან, მათემატიკურ ფაკულტეტზედ რომ უსმენდით; ეს ლექციები კი არავითარ პასუხს არ იძლეოდნენ იმ რიცხვ მრავალ კითხვებზედ, რათაც თქვენთვის ნათელ ჰყოფდნენ ხმის ვითარებას და თვისებებს.

მე შემიმჩნევია, რომ ქართველ კაცს ძალიან უყვარს ოპერის წარმოდგენები; არ ვიცი ეს რას მიეაწერო, იმ მუსიკალურ ინსტინკტს, რის მატარებელიც ბუნებითვე იგი არის, თუ სხვა რასმეს,—ხოლო მე მოგახსენებთ ფაქტებით: დაიარება ქართველი კაცი წარმოდგენებზედ და ყოველ ტალღას ორკესტრისას ან არტისტის ხმის შეკიდებას იგი ჩაჰკვირებული უგდებს ყურსა; და განა კარგი არ იქნებოდა მისთვის სცოდნოდა, რომ კომპოზიტორს, მელოდიის გარდა, წერის დროს, ჰყავდა სხვა თანამშრომლებიც, რომლებიც მისი ხელქვეითი მოსამსახურენი იყვნენ შემოქმედების დროს და რომლებიც აი ეხლა, მისი ნახმარი ფანდი, აჯადოვებს მსმენელს? განა უექველად მუსიკოსი უნდა იყო, რომ იცოდე დეტალები მუსიკის ხელოვნებისა? უამისობა კი ბევრს ძალიან ბევრს კურიოზებს ჰბადავს საზოგადოებაში.

ერთი ჩემი ახლო მეგობარი, რომელსაც გულზედ ორი უმაღლეს სასწავლებლის ნიშანი აკერია, ერთხელ გულწრფელად გამომიტყდა: თუ ძმა ხარ, მითხარ, რა არის ეს სიმფონია, ან სიუიტა-ო? რასაკვირველია, მე ჩემებურად განუმარტე; ჩემი მეგობრის უცოდინარობამ მე სრულებითაც არ გამაკვირვა, განა როდის რა ჰსმენია მუსიკაზედ. ხოლო მე გული მეტკინა, რომ განათლებული კაცი ასე უვიცობდა და ვერ წარმოედგინა, რომ სიმფონია ერთნაირი ფორმაა სამუსიკო ხელოვნებისა.

მაგრამ ყველა ამებს თავი დავანებოთ, შევიხედოთ ისევ ჩვენს სასწავლებელში. მახსოვს, იქ მუყაითად გვასწავლიდნენ და გვაცნობდნენ ამა თუ იმ მწერალის ნაწარმოებს, ვინაობას, მოღვაწეობას და სხვა, ასე გასინჯეთ რა წვრილმანი ხუშტური სჭირდა მწერალს, ისიც კი უნდა გვცოდნოდა; შესაძლებელია ამნაირი წვრილმანების ცოდნა ამ მოღვაწეებზედ მოზარდს ერთნაირ სწავლას ჰმატებდეს, აღვიძებდის მასში წამბაძველობის კეთილგანზრახვით, იწვევდეს მოსწავლეს სამოქმედოთ.

და თუ ჩვენს სასწავლებლებში ამა თუ იმ მწერალის, ან მოღვაწის ვინაობის შესწავლას ეს უდევს სარჩულად, რატომ არ უნდა იცოდნენ ჩვენ შვილებმა ვინ იყო ბუმბერაზი გენიოსი ბეთჰოვენი, მამათმთავარი დრამატიული მუსიკისა ვაგნერი, ლასსო, პალესტრისა, ვებერი, შუმანი, ჰაიდნი, ბახი, მოცარტი; ვინ იყო ეს მრავალ ტანჯული, რუსეთის მთავრობისგან სამშობლოდან გაძევებული შოპენი, რომელმაც სიკვდილის ჟამს თავის ტანჯულ, თავისუფლება მოსპობილ მხარეს სახსოვრად დაუტოვა მთრთოლვარე გული, ვინ იყო ეს რუჟე დე-ლ-მედი, რომელმაც არამც თუ მარტო ფრანგებს, არამედ მთელ განათლებულ კაცობრიობას დაუწერა თავისუფლების გიმნი—ვამბობთ; ნუ თუ ჩვენმა მოსავალმა თაობამ არ უნდა იცოდეს ამათი ვინაობა, ნუ თუ მათს საკაცობრიო საქმეთ ჩვენი იმედებისთვის წამაალისეული, წამქეზებელი მნიშვნელობა არ აქვთ და თუ აქვთ, რით არიან ესე მათთან დაშორებულნი, რათ არ შეასწავლიან მათ ვინაობას, მათ მნიშვნელობას საერთო პროგრესსის მსვლელობაში? ან იქნებ ვაგნერი და ბეთჰოვენი ღირსნი არ არიან ჩვენი შესწავლისა და პატივის.?

როგორ დავიჯეროთ ამას ვინმე ფიქრობდეს!

ნუ თუ თავისუფალ საქართველოს მოზარდი თაობა სკოლაში არ უნდა ეზიარებოდეს იმ აუარებელ საინტერესო მასალას სიმღერა—მუსიკისას, რასაც ესე დიდი, მნიშვნელობა მოუპოვებია მეცნიერებაში. ნუ თუ ყველა ამაების გაცნობა და ცოდნა არ გამდიდრებს და არ გააღრმავებს მოზარდის სოფლ-მხედველობას? ცოდნა, რანაირიც და რა მიკროსკოპიულიც უნდა იყოს იგი, მაინც ცოდნაა და, ყველა ამაების და სხვა მრავალი საინტერესო ცნობების ცოდნა, ნუ თუ ცოდვაა და არა ცოდნა?

ცოდვა აღიარებული სჯობიაო. გამოვტყდები და ვიტყვი: მე არ მწამდა, რომ სიმღერა-მუსიკა, როგორც არისტოკრატიული ხელოვნება, წარმოშობილი ელემენტი ადამიანის უზენაეს გრძნობათა არისტოკრატიზმისა, დემოკრატიას ესე შეესისხლხორცებოდა, მისი ესეთი დემოკრატიზაცია მოხდებოდა; მაგრამ დღეს გაჭალარავებული სულ სხვასა ვხედავ და არ შეიძლება სინამდვილეს ანგარიში არ გაუწიო: შეიხედეთ თეატრში. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ მუსიკა სიმღერის მოწაფედ დემოკრატიაა; და თუ მუსიკის მოტრფიალედ ეს ელემენტი გამხდარა, ჩვენი სურვილი უნდა ის იყოს, რომ ეს მოწაფე მოციქულად, მის მქადაგებლად გარდაქცეულიყოს. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც ჩვენ სკოლებში სიმღერა—მუსიკის შესწავლას ფართოდ გაეღება კარები, როდესაც მისი შესწავლა ჩვენი მოზარდ თაობისგან იქნება არა ზერელე, არამედ დარბაისლური, გრძნობა—გონების განვითარებასთან მიზან შეწონილი.

ყოველნაირი საშუალებით და ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, რომ გრძნობაში, სულით აღვამაღლოთ და გავაფაქიზოთ მოზარდი თაობა, [illegible] და გავამშვენიეროთ ცხოვრების მძიმე ტვირთი. მე მინახავს ჩვენი ინტელიგენტის უმწეო მდგომარეობა საზოგადოებაში. აგერ, ჯგუფი ევროპიელებისა რაღაზედაც ცხარედ მსჯელობენ, მღერიან, უკრავენ როიალზედ. ჩვენი საბრალო ინტელიგენტი-კი, რომელსაც ორი უმაღლეს სასწავლებლის ნიშანი მიუკერებია გულზედ, ზის მედიდურად კუნჭულში, წარბებ ქვეშ გამოიყურება და გაწიწმატებული ულვაშს იგრეხავს, თითქოს ემუქრება ვისმე. იმას ასე ჰგონია რომ იმღეროს, ან დაუკრას ეს მისი ღირსების დამცირება იქნება და სხვა არაფერი. აი ასეთს უმწეო მდგომარეობაშია ჩვენი ინტელიგენტი ევროპიელების საზოგადოებაში და რა ვიცით, რომ სადაც მეცნიერება უძლურია, იქ მუსიკა არ იყოს ძლიერი?

აღარ მოგახსენებთ იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც ხელთ აქვს მუსიკას ზედმოქმედებისათვის, რამდენ ძლიერია და ფართოდ ჰხვევს ხელს მისი ზედმოქმედება ადამიანის სულის თითეულს კირძობას.

მოგეხსენებათ, ამა თუ იმ დროის ფილოსოფოსთა აზრი მუსიკასა და მის მნიშვნელობაზედ.

გეხსომებათ ჩვენი მნათობ რუსთაველის პოემიდანაც ეს შესანიშნავი ადგილი:

მიიმღერის ხმასა ტკბილსა,
არ გასწყვეტდის ცრემლთა რუსა,
მისსა ხმასა თანა ხშაცა
ბულბულისა ჰგვანდის ბუსა;
რა ესმოდის მღერა ყმისა,
სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან
წყლით ქვ ნიცა გამოჰხდიან;
ისმენდიან, გაჰკვირდიან,
რა ატირდის, ატირდიან...

გაგვეგონებათ ისიც, თუ რა გავლენა იქონია მუსიკამ გაონავრებულ ვეფხვზედ.

ყურს მოჰკრავდით, ან წაიკითხავდით სადმე პარიზის სამეცნიერო აკადემიის მემუარებს, სადაც დიდის დაკვირვებით აღნიშნულია მუსიკის გავლენის შედეგები ორს სპილოზედ.

მოგეხსენებათ აგრეთვე გენიოს მომღერალ სტრადელას ცხოვრებიდან ის ეპიზოდი, თუ როგორ შეიპარნენ ორი მოსყიდული ავაზაკი ეკლესიაში მის მოსაკლავად და როგორ დაიმონავა, მოაჯადოვა ფულით მოსყიდული კაცის მკვლელების გული ამ კომპოზიტორის ღვთიურმა სიმღერა-მუსიკამ (ამ დროს იგი მღეროდა თავის Pieta Siniore). შეიძლება განხოთ კიდეც ასნი და ათასნი სიმღერა-მუსიკით აღტაცებულნი, აღძრულნი, ღრმად გრძნობა შეტკბებულნი. ამიტომ არის გასაკვირველი, რომ დღემდე მუსიკას ცხოვრებაში არ უჭირავს ის ადგილი, რაც მას ეკუთნის, თუ სადმე სამართალია. 1912 წ. შემოდგომის სესიაში რუსეთის პარლამენტმა აღძრა კითხვა სიმღერა-მუსიკის დაკანონების შესახებ სასწავლებლებში. ამ კითხვის დამუშავება განსაკუთრებულ კომისიასაც კი ჰქონდა დავალებული და დღემოკლე რომ არ ყოფილიყო ამ პარლამენტის ცხოვრება, იქნებ განზრახვა ცხოვრებაში გაეხორციელებინა.

მაშ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენთვისაც, თავისუფალ საქართველოში, შორს არ არის ის დრო, როცა სიმღერა-მუსიკა შემოვა ცხოვრებაში არა როგორც ხელოვნება რჩეულთათვის, არა როგორც ერთ-ერთი საშუალება ქეიფისა და გართობისა, არამედ როგორც ფრიად საყურადღებო ელემენტი მომავალ თაობის აღზრდისა და სოციალურის ურთიერთობისა, ქართველი ხალხისა და საზოგადოების სულიერად გარდაქმნისა და გადახალისებისა.

ი. კარგარეთელი.

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

დიდი საქონლის ბაზარი
დამფუძნებელ კრების ქუჩ.
(ხახ. ქ. № 3.)
მაღაზია
ე. ცაცუროვისა
ყიდულობს და იღებს კომისიაზე ყოველ გვარ საქონელს: ხალიჩებს, ავეჯეულობას, ჭურჭლეულობას, ვერცხლს, ოქროს და ბრილიანტს და სხვას. ახურდავებს ფულს. 5—1

სტამბა „ილია კალხაძისა“, „ცხოვრება“ გამაშვილის შესახვევი № 4.